ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

მარი დიდავა

ქართული იდენტობა და მისი გავლენა ქვეყნის საგარეო კურსზე

დიპლომატია და საერთაშორისო პოლიტიკა

დიპლომატიისა და საერთაშორისო პოლიტიკის მაგისტრი

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სრული
პროფესორი, პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი

ზურაბ დავითაშვილი

თბილისი, 2019

ქართული იდენტობა და მისი გავლენა ქვეყნის საგარეო კურსზე

მოცემული სამაგისტრო ნაშრომი ორიენტირებულია ახსნას საქართველოს სახელმწიფო იდენტობის ჩამოყალიბებაში მონაწილე სამი მთავარი მიმართულება და როლი, რომელზე დაყრდნობითაც ხორციელდება საქართველოს საგარეო კურსი. თემა მიმოიხილავს კონსტრუქტივისტულ მიდგომებს, სადაც უპირატესობა ენიჭება სუბიექტურად აღქმულ ინტერესებს, ნორმებსა თუ ღირებულებებს, მათზე დაყრდნობით კი ხდება სახელმწიფო იდენტობის კონსტრუირება. არსებული მიმართულება საერთაშორისო ურთიერთობებში საკმაოდ აქტუალურია, რადგან მკითხველს შესაძლებლობა ეძლევა საგარეო კურსის განმსაზღვრელი მატერიალური ფაქტორების გარდა სხვა მნიშვნელოვანი ცვლადები დაინახოს და გაანალიზოს. თემა მომოიხილავს ვარდების რევოლუციის შემდგომ სახელმწიფო იდენტობის მშენებლობას მასზე დაფუძნებით კი საგარეო კურსის არჩევანს.

მარი დიდავა

Georgias identity and its influence on states foreign policy direction

Master's thesis is focused on explaining three key directions and role of the Georgian state identity in the establishment the course of Georgian foreign policy. The theme reviews constructive approaches where the advantages are given to subjective interests, norms and values, and based on them starts the state identity construction. The current direction is quite relevant in the field of international relations, as the reader has the opportunity to see and analyze important variables other then the material factors, that determine foreign policy direction. The theme reflectes in the construction of the state identity after the Rose Revolution and overviews the choice of foreign course as a consquencies of the state identity.

Mari Didava

სარჩევი

შესავალი 4

ლიტერატურის მიმოხილვა 9

კვლევის მიზანი და საკვლევი კითხვა 13

თავი I. სახელმწიფო იდენტობის ცნება საერთაშორისო ურთიერთობებში. 17

თავი II. საქართველოს პოლიტიკური ელიტის იდენტობის გავლენა საგარეო პოლიტიკაზე. 25

თავი III. ნაციონალური იდენტობა 39

თავი IV. საქართველოს სახელმწიფო იდენტობა..... 54

დასკვნა 59

ბიბლიოგრაფია 62

შესავალი

საერთაშორისო ურთიერთობების შესასწავლად 21-ე საუკუნე განსაკუთრებით საინტერესო ეპოქაა. სახელმწიფოები და საერთაშორისო ორგანიზაციები გვაძლვენ საშუალებას მათი ხედვები აღვიქვათ ისე, როგორც მათ ეს თავად, საკუთარი ღირებულებებისა და იდენტობის საფუძველზე წარმოუდგენიათ. საერთაშორისო ურთიერთობებში, საგარეო პოლიტიკის ანალიზი ხდება ფართოდ გავრცელებული რეალისტური თუ ლიბერალური თეორიის საფუძველზე, რაც უმეტეს წილად გულისხმობს მატერიალური და სტრუქტურული ფაქტორების მნიშვენელობის გაზვიადებას. მოცემულის გათვალისწინებით კი ხშირად იკარგება ელიტის, გადაწყვეტილებების მიმღები პირებისა და საზოგადოების როლი. განსაკუთრებით საგულისხმოა მათი იდეები და იდენტობა, რომელიც ერთგვარ ფილტრს წარმოადგენს, რომლის გავლითაც აღიქმება სწორედ ის სტრუქტურული, მატერიალური საშიშროებები თუ შესაძლებლობები. რეალისტური მიდგომა უარყობს იდეურ(ideational, აზროვნებით) ფაქტორებს, რომელიც შესაძლებლობას აძლევს სახელმწიფოს განახორციელოს საგარეო პოლიტიკა, განსაკუთრებით მაშინ, თუ ეს ქვეყნის უსაფრთხოებას ეხება და ადგილი აქვს ეგრეთ წოდებულ „high politics". (Gvalia,Siroky,Lebanidze,Iashvili,2015)

მოცემული ნაშრომი განიხილავს თეორიულ ჩარჩოს, რომელიც აღწერს სახელმწიფოს იდენტობის კონსტრუქციისთვის მნიშვნელოვან მიმართულებებს და მათ გამოვლინებას საქართველოს საგარეო პოლიტიკის კურსზე. მოცემული იდეის განსახორციელებლად, ნაშრომში ვიყენებ კონსტრუქტივისტულ ხედვას, რომელიც ერთგვარი გზამკვლევი იქნება იდენტობებთან მუშაობისას.

კონტრუქტივისტებისათვის სახელმწიფოს შესაძლებლობები არ შემოიფარგლება მხოლოდ ეკონომიკის სიძლიერითა და მილიტარისტულ (მატერიალური სტრუქტურა) შესაძლებლობებით. ეს უკანასკნელი მთავარ განმსაზღვრელ პირობად სოციალიზაციას, სახელმწიფოებს შორის სოციალურ ურთიერთობებს გვისახავს(იდეური სტრუქტურა). ამ

სკოლის მთავარი იდეა სახელმწიფოების ინდივიდუალურ, სუბიექტურ იდეების ინტერპრეტირებაში გამოიხატება. მაგალითად, თეორიული სკოლების უმრავლესობა თანხმდება, რომ საერთაშორისო სისტემა ანარქიული სახისაა, თუმცა კონსტრუქტივისტები აქაც დიდ მნიშვნელობას ინდივიდუალურ ინტერპრეტირებას ანიჭებენ და თვლიან, რომ ანარქია არის ის, რასაც სახელმწიფოები მისგან შექმნიან. (Wendt,1992). სახელმწიფოებს აქვთ სრული თავისუფლება საკუთარი რწმენის, ისტორიული გამოცდილების და კიდევ სხვა განმსაზღვრელ ფაქტორებზე დაყრდნობით საკუთარი რეალობა ისე გადმოსცენ, როგორც ამას თვითონ იგებენ და არა, როგორც დანარჩენი სამყარო. სახელმწიფოები არიან რაციონალური აქტორები, რომლებიც მოქმედებენ შემდეგი იდეების გათვალისწინებით - კონტრუქტივიზმი ამ ფენომენის მიხედვით სამ მთავარ იდეასა თუ ფაქტორს გამოყოფს: პირველი, ეს არის აგენტები/აქტორები, ისინი თანაბრად მონაწილეობენ სტრუქტურის ცვლილებაში. თუმცა სტრუქტურასაც შეუძლია ასევე თანაბრად იმოქმედოს მათზე. ეს უკანაკნელი ერთმანეთის განსაზღვრასა, თუ ფორმირებას თანაბრად ახერხებს. მეორე, იდენტობა და ინტერესები. კონტრუქტივისტების აზრით სახელმწიფოს იდენტობა სტრუქტურისა და სხვა სახელმწიფოებთან სოციალური ურთიერთობებით არის ჩამოყალიბებული. იდენტობა სახელმწიფოს თვითგამორკვევაა - როგორ აღიქვამს ის საკუთარ თავს, ეს უკანასკნელი კი რა თქმა უნდა პირდაპირ კავშირშია მის ინტერესებთან. მესამე, ნორმები ეს არის სტანდარტი შესაბამისი ქცევების, ქვეყნების იდენტობაზე დაყრდნობით (Katzenstein,1996, 5). იდენტობის გათვალისწინება მოიაზრებს მოცემული ქვეყნის ნორმების, პრინციპის გათვალისწინებასაც, რადგან შესაძლებელია ქვეყნების ერთი ნაწილისათვის მიღებული რამ, მეორე ნაწილისთვის მიუღებელი აღმოჩნდეს. ეს ნიშნავს, რომ იდენტობებს აქთ საკუთარი მიღებული ნორმები, ან მორალურ ღირებულებათა ფილტრი, რომლის გავლითაც ისინი იქცევიან და მოქმედებენ.(March and Olsen,1998, 951-952). თანამედროვე რეალობა დღეს დილემის წინაშე დგას - მთავარი კითხვა, რომელიც ისმის არის - „რა ახდენს სახელმწიფოების გადაწყვეტილებაზე გავლენას - სტუქტურა (ანარქია და ძალისს დისტიბუცია) თუ პროცესი (ინტერაქცია და სწავლა)“(Wendt;1992).

იმისათვის, რომ უკეთ მოხდეს კონსტრუქტივიზმის იდეის აღქმა მოცემულ თეზისში, მოვიყვან საერთაშორისო ურთიერთობებში ნაცნობ „თამაშის თეორიას“, მასზე დაყრდნობით ხაზს გავუსვამ იმ განსხვავებებს, რომელიც არსებობს კონსტრუქტივზმსა და რეალიზმს შორის. რეალიზმის შედარების ობიექტად არჩევა ასევე განაპირობა მრავალი ავტორის მოსაზრებამ საქართველოს საგარეო კურსის შესახებ. მათი მიდგომით საქართველოს საგარეო კურსი ეგრეთ წოდებული „მიტმასნების“ პოლიტიკით უნდა განხორციელებულიყო განსაკუთრებით 2008 წლის ომის შემდგომ, რაც ასე არ მოხდა. შესაბამისად ამ ორი თეორიის შედარების საფუძველზე კარგად ჩანს, რატომ განხორციელდა ქვეყნის საგარეო კურსი საწინააღმდგო მიმართულებით.

ირემზე ნადირობის ცნობილი მაგალითი რეალიზმის წარმომადგენლებს განმარტებული აქვთ, როგორც - სცენარი, რომლის მიხედვით მონადირეების(სახელმწიფოების) მთავარ სამიზნეს წარმოადგენს ირემი. რეალისტური მიდგომით, მცირე შანსები არსებობს განსხვავებულმა აქტორებმა ერთმანეთში თანამშრომლობა მოახერხონ. მათი ხედვით ირემის მოსანადირებად აუცილეებელია, მხოლოდ და მხოლოდ საკუთარ ინტერსებზე დაყრდნობით იმოქმედონ ქვეყნებმა, (შესაბამისად გადარჩნენ). ნდობის არარსებობა მონადირეებს შორის არის ის მთავარი მიზეზი, რომელიც ხელს უშლის მონადირეების თანამშრომლობას. კონსტრუქტივისტები კი სწორედ ამ უკანასკნელს თვლიან მთავარ პრობლემად და ამტკიცებენ რომ, არ არსებობს მიზეზი იმისა, რომ მონაწილეებს ერთმანეთის მიმართ ნდობა არ გააჩნდეთ ან მათ საფრთხედ აღიქვამდნენ, თუმცა ლოგიკურადვე არც იმას ამტკიცებენ, რომ ერთმანეთი აუცილებლად მოკავშირეებად უნდა ჩათვალონ. ვენდის აზრით მოცემულ ვირტუალურ დილემაში ინტერპრეტირებულია მსოფლიო ისტორია, რომლის განმავლობაშიც სახელმწიფოები ავლენდნენ- „ეგოისტურ“ იდენტობას. იმის ვარაუდი, რომ სახელმწიფოეები ყოველთვის საკუთარი „ეგოს“ მიხედვით მოქმედებენ არის დაწესებული ცნება და არა ფუნდამენტურად დამახასიათებელი თვისება ანარქიის პირობებში.(Wendt, 1992). როგორც ადლერი განმარტავს, კონსტრუქტივისტებისთვის არ არის შეუძლებელი იმის გააზრება, რომ

სისტემის ან საპირისპიროდ სისტემის არქონის ფარგლებში სახელმწიფო სურვილი „თვითდახმარების“ ინტერპრეტირებული იყოს როგორც პესიმისტურად, ხოლო თანამშრომლობა კი ოპტიმისტურად, სისტემა იქნება ისეთი, როგორ ინტერპრეტაციასაც სახელმწიფოები მოახდენენ სოციალიზაციის პროცესში ან მომხდარი ფაქტების აღქმის შემდეგ (Adler, 1998).

ნაშრომი მთლიანად დაფუძნებული იქნება სწორედ ურთიერთობების შედეგად მიღებულ და გათავისებულ ცოდნაზე, პოლიტიკური ელიტის იდენტობაზე, რომელიც გვევლინება საგარეო კურსის განმსაზღვრელად და პარალელურად ნაციონალურ იდენტობაზე და მის გავლენა საგარეო კურსზე. ვენდტის აზრით სწორედ ამ ეტაპების გავლით იქმნება სახელმწიფო იდენტობა (Wendt,1999). საქართველოს იდენტობებზე დაკვირვებისა და ახსნის შედეგად გამოვლინდა ყველაზე დიდი როლის მქონე იდენტობა, რომელიც საგარეო კურსის მთავარი განმსაზღვრელია - ეს არის პოლიტიკური ელიტა. ამ უკანასკნელის იდეები და ღირებულებები განსაზღვრავს იმ სოციალიზაციის პროცეს საერთაშორისო დონეზე, რომლის გავლითაც საბოლოოდ ვიღებთ სახელმწიფო იდენტობის სრულ სახეს.

ტანზიციულ მდგომარეობაში მყოფი ქვეყანა, როგორიც საქართველოა, სადაც კვლევებით დასტურდება, რომ სამოქალაქო საზოგადოება, სამოქალაქო ნაციონალიზმი (ISSP,2013; CRRC,2017) ჯერ კიდევ ფორმირების პროცესშია, პოლიტიკური ელიტა წარმოადგენს საგარეო ურთიერთობების განმახორციელებელ მთავარ ღერძს. სწორედ ამიტომ ვარდების რევოლუციის შემდგეგ აქტიურად განხორციელდა საგარეო პოლიტიკის ქმნის ზემოდან - ქვემოთ მართული მოდელი და არა პირიქით.

ელიტის იდენტობა და ნაციონალური იდენტობა არის შიდა ფაქტორები, რომელიც ქმნის საგარეო პოლიტიკას, ხოლო სახელმწიფო იდენტობის ქმნის პროცესი ასევე მოიცავს გარე ფაქტორებს, როგორიც არის სხვა სახლემწიფოების თუ სახელმწიფოთაშირისი ორგანიზაციების გავლენა საგარეო პოლიტიკაზე მათთან სოციალიზაციისას. საქართველოს შემთხვევაში ეს არის რუსეთი და ევროკავშირი. ნებისმიერი იდენტობის

ჩამოყალიბების პროცესი იწყება ერთი მთავარი ასპექტიდან - როგორ აღვიქვამთ ჩვენ თავად საკუთარ თავს და შემდგომ დანარჩენ სამყაროს. პირველ რიგში „ვიხედებით ვირტუალურ სარკეში“ აღვიქვამთ საკუთარ თავს, საკუთარი თავის შეცნობის შემდგომ კი ვაყალიბებთ გარე სამყაროზე წარმოდგენებს. ეს წარმოდგენები პრიმიტიულად, რომ დავყოთ არის შემდეგნაირი - „მე“ /„ჩვენ“ და „სხვა“/„სხვები“. ამგვარი დახარისხება გვეხმარება საკუთარი იდენტობის ჩამოყალიბებაში და სწორედ ამ ორის მეშვეობით ყალიბდება იდენტობა, სადაც ჩვენი წარმოდგენა „სხვა“- ზე მოქმედებს როგორც ანტიღირებულებები - ამ შემთხვევაში რუსეთი, ხოლო „მე“ -ს მსგავსი არის ის, რომლისგანაც ვცდილობთ ავიღოთ ღირებულებები და ნორმები - (ევროკავშირი), ზემოთ ნახსენები პროცესის სინქრონიულად.

ლიტერატურის მიმოხილვა

  იდენტობის არსი არ არის სწორხაზოვანი და ფიქსირებული. ეს ტერმინი მეცნიერების სხვადასხვა დარგში გამოიყენება, რაც მას კიდევ უფრო მრავალფეროვანსა და კომპლექსურს ხდის. საერთაშორისო ურთიერთობებიც არ არის გამონაკლისი, რადგან თვით ერთი თეორიის ფარგლებში, კონსტრუქტივისტებსაც არ აქვთ იდენტობის ერთი ჩამოყალიბებული განმარტება. კონსტრუქტივიზმი განიხილავს იდენტობის ჩამოყალიბების სამ დონეს - სისტემურს, ერთეულის დონეს და ჰოლისტიკურს.(Systematic, Unit-level, Holistic). სისტემური მიდგომა განიხილავს იდენტობის კონტრუქციას საერთაშორისო ნორმებისა და სტრუქტურის გავლენით. ერთეულის-დონეში მოიაზრება შიდა სოციალიზაციის პროცესი საზოგადოების, მმართველისა და შიდა სახელმწიფოებრივი ცვლადების ურთიერთქმედება. ჰოლისტიკური მიდგომა კი ერთგვარად წარმოადგენს მოცემული ორის გაერთიანებას, რომელიც თითქოს ქმნის ერთიან სურათს, რომლის გავლენითაც ხდება იდენტობის კონსტრუირება, შიდა და გარე ცვლადების გავლენით. სწორედ ამ უკანასკნელზე იქნება თემა ორიენტირებული, რადგან სახელმწიფო იდენტობის გასაგებად აუცლებელია კომპლექსური მიდგომა სწორი სურათის შესაქმნელად.

ვენდტი, ჯეფერსონი, კაცენსტაინი თანხმდებიან, რომ იდენტობა არის ერთგვარი შემაერთებელი ხაზი სტრუქტურული გარემოსა და ინტერესების, სადაც იდენტობა ამავდროულად არის აქტორის, „მე“ - ს გამოვლინება, „სხვას“-თან მიმართებაში(Jepperson, Wendt, Katzenstein; 1996; გვ21-26). მათი მიდგომით, სახელმწიფო იდენტობის ცვლილება გავლენას ახდენს სახელმწიფოს ინტერესებზე, ხდება ინტერესების ფორმირება. ვენდტის სტატია „ანარქია არის ის რასაც სახელმწიფოები მისგან შექმნიან“ განიხილავს იდენტობის კონსტურქციას ანარქიულ სამყაროში, სადაც იგი რეალიზმისა და ლიბერალურ მიდგომებზეც საუბრობს და პარალელს ავლებს კონსტურქტივიუსტულ ხედვასთან. ასევე ის იყენებს სხვადასხვა დარგის მეცნიერების მიერ იდენტობის განმარტებას(სოციოლოგია,

ფსიქოლოგია, ფილოსოფია) და გადმოაქვს ეს უკანასკნელი საერთაშორისო ურთიერთობების რეალობაში. მოცემულიდან იკვეთება ორი მთავარი იდეა - ადამიანთა/აქტორთა იდენტობა და ინტერესები არის მათი სუბიექტური ხედვებიდან შექმნილი და არა ბუნებრივი; აქტორებს შორის სოციალიზაციის პროცესის განმსაზღვრელია საერთო ღირებულები და არა მატერიალური ფაქტორები. (Wendt; 1992; გვ391-425) მიუხედავად ამისა კონსტრუქტივისტები ვერ თანხმდებიან ყველა იმ მოქმედ ცვლადზე, რომელიც იდენტობის კონტრუირებისათვის არის საჭირო. რეუს-სმიტის აზრით, კონსტრუქტივიზმი ფოკუსირებულია ნორმებსა და სტრუქტურაზე, რომლის ფარგლებშიც მოქმედებენ სახელმწიფოები. (Reus-Smit;2005) მოცემული ნორმები და ღირებულებები თავის მხრივ გავლენას ახდენენ სახელმწიფოს იდენტობის ფორმირებაზე. წრე რის გარშემოც კონსტრუქტივისტები მყარად ერთიანდებიან არის სოციალიზაციის შედეგად მიღებული ნორმებისა და გაზიარებული ცოდნის აღქმა და ათვისება. ჯონ რაგის მოსაზრებით კონტრუქტივისტები თანხმდებიან მნიშვნელოვან მოცემულობაზე - სახელმწიფოები არ რეაგირებენ არსებულ პირობებზე, პირობებს ისინი თავად ქმნიან (Ruggie;1998; გვ 855 -885). სწორედ სოციალიზაციაა ის პროცესი რომლის მეშვეობით სახელმწიფოები ქმნიან არა მხოლოდ საკუთარ იდენტობას არამედ სტრუქტურაზეც ახდნენ გავლენას, შემდგომ კი სუბიექტურად აღქმული ღირებულებების შედეგად ყოფენ სახელმწიფოებს მეგობრებად და მტრებად.

სწორედ ზემოთ ხსენებული ღირებულებებისა და საკუთარი „მე“ - ს აღქმაა საინტერესო საქართელოს იდენტობის მაგალითზე. მოცემული მნიშვნელობით გამოვყოფ ორ კვლევას რომელიც ჩატარდა ქართველი მკვევარების მიერ. პირველი კვლევა გვალიასა და სიროკუს ხელმძღვანელობით ეხება პატარა ქვეყნების საგარეო პოლიტიკას, სადაც საქართველოს რეალობაში, ქვეყნისათვის მატერიალური ფაქტორები მეორეხარისხოვანია, უპირატესობა კი ღირებულებებისა და ფასეულობების გაზიარებას ენიჭება. (Gvalia; Siroky; Lebanidze; Iashvili; 2013) კვლევაში განხილულია საქართველოს საგარეო კურსი, განასაკუთრებით ავტორები გამოყოფენ 2008 წლის შემდგომ პერიოდს, რომელიც ეგრეთ წოდებული

„მიტმასნების“ პოლიტიკით არ გაგრძელდა და საქართველოს საგარეო კურსი კიდევ უფრო დასავლეთზე ორიენტირებული გახადა. ამასთან ერთად სტატიაში განხილულია მთავარი ცვლადები რომლის მეშვეობითაც ხორციელდება ქვეყნის საგარეო პოლიტიკა. მოცემულია საქართველოს პოლიტიკური ელიტის იდენტობა, მათი აღქმები შეხედულებები და ღირებულებები, როგორც მნიშვნელოვანი პოსტულატი საქართველოს საგარეო კურსის განხორციელებისას. ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე (პოლიტიკური ელიტა, ექსპერტები) ავტორები გვაჩვენებენ საქართველოს საგარეო კურსის განხორციელებისათვის მნიშვნელოვან ღერძს.

კაკაჩიასა და მარკოროვის (2016) თანავტორობით შექმნილი წიგნი, ზემოთ ხსენებული კვლევის მსგავსად ცდილობს მთავარი ცვლადები დაგვანახოს საქართველოს იდენტობის მშენებლობაში. მოცემული კვლევაც ორიენტირებულია ღირებულებათა კავშირი იპოვოს საქართველოსა და ევროპას შორის. ზემოთ ხსენებულის დასტურს კი ავტორები ელიტისა და მოსახლეობის იდენტობის შესწავლით განსაზღვრავენ, რაც საბოლოოდ ქვეყნის საგარეო კურსში გამოიხატება.

კიდევ უფრო ღრმა კვლევა ქართული პოლიტიკური ელიტის იდენტობის შესახებ წარმოდგენილია კაკაჩიას, მინესაშვილისა და კახიშვილის სტატიაში(2018), სადაც სიღრმისეული ინტერვიუების საფუძველზე ხდება ორი ხელისუფლების შედარება. ავტორები სიღმისეული ინტერვიუების საფუძველზე ადგენენ ყოფილი მმართველი პარტიის (ნაციონალური მოძრაობისა) და თანამედროვე სახელისუფლო მმართველი ძალის(ქართული ოცნების) იდენტობას, მათ აღქმებსა და წარმოდგენებს. როგორ წარმოედგინა წინა ხელისუფლებას და როგორ წარმოუდგენია დღეს ახალ მმართველ ძალას საქართველოს „მე“ /„ჩვენ“ და „სხვა“/„სხვები“ - ის აღქმა. მოცემული ორის შედარებით საშუალება გვეძლევა დავაკვირდეთ რამდენად შეიცვალა სახელმწიფო იდენტობა ახალი სახელისუფლებო ძალის მოსვლით. ავტორების მოსაზრებით საქართველოს საგარეო ურთიერთობების გასაგებად აუცილებელია მოხდეს მმართველი ელიტის სიღრმისეული შესწავლა, ამ უკანასკნელის საფუძველზე გაცილებით უკეთ და

მარტივად მოხდება სახელმწიფო იდენტობისა და საგარეო კურსის გაგება. მმართველ ელიტასთან ერთად, აუცილებელია შევისწავლოთ საქართველოს ნაციონალური იდენტობა. დემოკრატიზაციისა დალიბერალური პრინციპების დამკვიდრებისას, საზოგადოებაში მიმდინარეობს ღირებულებათა გადაფასების პროცესი. ამ პროცესის უკეთ აღსაქმელად ვიყენებ საერთაშორისო სოციალური გამოკითხვის პროგრამის მიერ 2013 წელს ჩატარებულ კვლევას, რომელიც ცდილობს ნაციონალური იდენტობის შესწავლას საქართველოში, საზოგადოების დამოკიდებულების და მოსაზრებების შეფასებითა და გაანალიზებით.(ISSP -2013). მოცემული კვლევის სრულფასოვანი ანალიზი კეთდება წიგნში „ქართული ეროვნული იდენტობა: კონფლიქტი და ინტეგრაცია“ სადაც ავტორები საფუძვლიან ანალიზს აკეთებენ მონაწილე ყველა ცვლადის გათვალისწინებით(ბოგიშვილი,იოსეფაშვილი, გავაშელიშვილი, გუგუშვილი;2016) თუმცა მოცემული კვლევა ეხება კონკრეტულ 2013 წელს ჩატარებულ გამოკითხვას და მის შედეგებს, სადაც არ ჩანს სახელმწიფოში ნაციონალური იდენტობის ცვლილება, რაც დამაჯერებელ სურათს ვერ გვიხატავს თანამედროვე რეალობასთან მიმართებაში. იმისათვის, რომ ქართული ნაციონალური იდენტობის ტრანსფორმაცია ნათლად იყოს ასახული კვლევაში ვიყენებ კავკასიური კვლევითი ცენტრის მიერ ჩატარებულ ყოველწლიურ კვლევებს კავკასიური ბარომეტრის ფარგლებში. მოცემული კვლევები მიზნად ისახავს შეისწავლოს პოლიტიკური, ეკონომიკური თუ სოციალური დამოკიდებულებები საზოგადოებაში 2011 წლიდან 2017 წლის ჩათვით. ეს უკანასკნელი კი გვაძლევს საშუალებას წლების განმავლობაში საზოგადოების აზრისა და დამოკიდებულების ცვლილება სტატესტიკური მონაცემებით ნათლად ავსახოთ.

კვლევის მიზანი და საკვლევი კითხვა

კვლევის დასაწყისში დავსვი შეკითხვა - რა როლი აქვს სახელმწიფოში არსებულ იდენტობებს საგარეო პოლიტიკური კურსის განსაზღვრაში? შესაბამისად თემაში იკვეთება, როგორც დამოუკიდებელი ცვლადი იდენტობა, ხოლო დამოკიდებული ცვლადი საქართველოს საგარეო პოლიტიკა.

ნაშრომის ჰიპოთეზას წარმოადგენს შემდეგი, სახელმწიფო იდენტობის კონსტრუირება საქართველოს მაგალითზე არის დამოკიდებული პოლიტიკურ ელიტაზე, რომელიც შესაბამისად განსაზღვრავს ქვეყნის საგარეო კურსს.

კონსტრუქტივიზმის ჩარჩო, როგორც უკვე ვახსენე, მოიცავს სუბიექტურ რეალობაზე დაფუძნებულ აღქმებს თუ როგორ არის მოცემული ინფორმაცია გაანალიზებული სუბიექტური ფილტრაციის შედეგად. მოცემულის გათვალისწინებით ნაშრომში ცალცალკე განხილული და ახსინილია თეორიული და პრაქტიკული ნაწილი მოცემული სამი იდენტობის, რომელებსაც შესაძლოა რაიმე გავლენა ჰქონდეს საქართველოს საგარეო პოლიტიკის კურსზე. თემის მთავარი მიზანია დაახასიათოს საქართველოს იდენტობები, დაანახოს მკითხველს რა როლი შეიძლება ეჭიროს თითოეულ მათგანს საქართველოს საგარეო პოლიტიკის კურსის შექმნაში. მთავარი დროითი ღერძი, რომლზეც დაფუძნებული იქნება თემა არის 2003 წელი, ვარდების რევოლუციიდან კონსტრუირებული იდენტობა დღემდე. მთავარი არგუმენტი რამაც გამოიწვია მოცემული თარიღის არჩევა არის შემდეგი - როგორც უკვე ვახსენე სახელმწიფოს იდენტობის ჩამოყალიბება ხდება „მე“ /„ჩვენ“ და „სხვა“/„სხვები“ - ის მოდელის საფუძველზე, საბჭოთა კავშირიდან დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, პირველ ხელისუფლებას არ ეყო არც დრო და არც გამოცდილება მოეხდინათ ქვეყნის იდენტობის კონსტრუირება. გამსახურდიას რადიკალური პოლიტიკა, დასავლეთისა და აღმოსავლეთის უარყოფა და კონცენტირირება კავკასიის რეგიონზე, რომელიც იმ დროისათვის კიდევ უფრო არამდგრადი და კონფლიქტებით მოცული იყო (Jones,2003) შეიცავდა ემოციურ საწყისებს

და და ნაკლებად პრაგმატულ იდეას, რომელიც თითქოს ცდილობდა სწორედ ზემოთ ნახსენებ „ვირტუალურ სარკეში ჩახედვას“, იქ აღქმული საკუთარი „მე“ კი, კავკასიურ რეგიონზე საკუთარი თავის მიკუთნება აღმოჩნდა. თუმცა ამ აღქმების საფუძველზე ვერ მოხდა საქართველოს იდენტობის მშენებლობა შიდა დაპირისპირებებისა და დროის სიმცირის გამო. 1995 წელს კი შევარდნაძის მოსვლით, გამსახურდიას მიერ არჩეული პროკავკასიური რაკურსი შეიცვალა. შესაძლებელია სწორედ გამსახურდიას მმართველობისას მიღებული შედეგების გათვალისწინებით შეარჩია ახალმა მთავრობამ მეტად დიპლომატიური და დაბალანსებული პოლიტიკა, რომელიც ხაზგასმით კონკრეტული მიმართულების აღებას გაურბოდა და მეტად ნაცრისფერი პოლიტიკას ახორციელებდა. გაურბოდა „უტოპიურ“ (Jones,2003) მიზნებს და მეტად დაბალანსებული გლუვი პოლიტიკით გამოირჩეოდა. შევარდნაძის მთავრობასაც გააჩნდა ინიციატივები კავკასიის რეგიონთან დაკავშირებით, თუმცა გამსახურდიას იდეებისაგან განსხვავებით ეს უკანასკნელი ინტეგრაციასა და ღრმა თანამშრომლობას ნაკლებად მოიაზრებდა და კონცენტრირებული იყო ეკონომიკისა და უსაფრთხოების საკითხებზე. შევარდნაძის მთავრი მოტივი იყო ეპოვა ბალანსი დასავლეთსა და რუსეთს შორის, რადგან ისტორიული გამოცდილებიდან გამომდინარე ბოლომდე ვერ/არ ჰქონდა იმედები ევროპის დახმარების, შესაბამისად ჩვენი გეოპოლიტიკური მდგომარეობიდან გამომდინარე საჭირო იყო რუსეთთანაც შესაბამისი მეგობრული ურთიერთობები გაგვეგრძელებინა. მოცემული რაკურსითაც ვერ მოხერხდა საქართველოს იდენტობის ჩამოყალიბება, რადგან მიუხედავად დასავლეთისკენ გადაგმული ნაბიჯებისა, ამ პერიოდის პოლიტიკას არ ახასიათებდა პრო/ანტი ღირებულებები, რის საფუძველზეც მოხდებოდა იდენტობის კონსტრუირება. ამ მდგომარეობის ამხსნელი მიზეზი შეიძლება ბევრი, რამ იყოს ერთ-ერთი მთავარი კი იყო რუსეთის გაღიზიანების თავიდან არიდება, პროდასავლური კურსის ნეიტრალური გამოვლინებით. თუ ამ ლოგიკას ბოლომდე გვაყვებით მივალთ დასკვნამდე, რომ საქართველოს იდენტობის ჩამოყალიბების ხელის შემშლელი ფაქტორები 1995-2003 წლამდე მოიაზრებდა „მე“ /“ჩვენ“ და „სხვა“/„სხვები“ მოდელის არგამოყენებას, ან

უბრალოდ მის თავიდან არიდებას, მოსალოდნელი შედეგების გათვლით, რომელიც რუსეთის გაღიზიანებაში შეიძლება გამოხატულიყო. როგორც სტივენ ჯონსმა განგვიმარტა, საქართველოს საგარეო პოლიტიკის განხორციელების შესაძლებლობები შემოიფარგლებოდა დასავლეთთან დაახლოების სურვილით თუმცა ბოლომდე მიუღწევადობით, რუსეთი კი მისი არასასურველობით, თუმცა მისი „გასხვისების“ ნაკლები შესაძლებლობებით. (*“The West is desirable but not fully attainable; Russia is undesirable but not fully alienable.“)* (Jones,2003; გვ104)

საქართველოს მოცემული ორი ხელისუფლების წარმომადგენლები განსხვავებულად ხედავდნენ საქართველოს ღირებულებების არსს, მიზანსა თუ ქვეყნის შესაძლებლობებს. არსებულ მაგალითებზე დაყრდნობით, საერთაშორისო ურთიერთობების ავტორები გამოყოფენ სახელმწიფოს შენებაში პოსტ-საბჭოთა ქვეყნებს/ტოტალიტარული რეჟიმებიდან დემოკრატიულზე გადასვლის ეტაპს, სადაც ხაზგასმა ხდება ელიტის როლისა და ზემოდან ქვემოთ მართული იდენტობის ფორმირების პროცესის (Lane,2011; O'Donnell and Schmitter,1986; Malloy,1987; Vachudova,2008; Mitchell,2006; Thorun 2009) იმისათვის, რომ მოხდეს ქართული პოლიტიკური იდენტობის დახასიათება და მისი გავლენის კონსტანტაცია, თემა დაიყო ოთხ ძირითად თავად:

პირველი თავი შეეხება ზოგადად იდენტობების ცნების განმარტებას, განსაკუთრებით კი სახელმწიფო იდენტობის პროცესის აღწერას, რომელიც საერთაშორისო სისტემაში არც თუ ახალი დამკვიდრებულია, თუმცა დღესაც მიმდინარეობს დებატები ამ ცნების მეთოდოლოგიურ თუ ნორმატიულ ამხსნელ ფაქტორებზე.

მეორე თავი დაეთმობა ქართული პოლიტიკური ელიტის როლსა და გავლენას საქართველოს საგარეო პოლიტიკის კურსის განსაზღვრაში. რა როლი ჰქონდა, აქვს პოლიტიკურ ელიტას და როგორ მოახერხა საკუთარი ღირებულებებსა და იდენტობაზე დაფუძნებით მომხდარიყო საქართველოს საგარეო კურსის განსაზღვრა.

მესამე თავი განკუთვნილი იქნება ქართული ნაციონალური იდენტობისათვის. რა ფორმის ნაციონალიზმით ხასიათდება საქართველო, არის ის სამოქალაქო თუ ეთნიკური ნაციონალიზმისკენ მიდრეკილი. რა როლი შეიძლება ითამაშოს ამგვარ მგომარეობაში მყოფმა ნაციონალიზმმა საგარეო კურსის განსაზღვრაში.

მეოთხე თავი მოიცავს საქართველოს სახელმწიფო იდენტობას, თუმცა ამჯერად გარე ფაქტორების საგარეო კურსის შედეგად არჩეული, სოციალიზაციის პროცესიდან მიღებული ღირებულებებისა და ნორმების საფუძველზე. როგორ შეიძლება აისახოს და გამოვლინდეს ეს ქვეყნის იდენტობაზე.

მეთოდოლოგია

იმისათვის, რომ სახელმწიფო იდენტობის შესწავლა და აღწერა მოხდეს საჭიროა გამოყენებული იქნას მთავარი სახელმწიფო მნიშვნელობის დოკუმენტების სიღრმისეული ანალიზი, საიდანაც კარგად ჩანს პოლიტიკური ელიტის გადაწყვეტილებების ოფიციალური სახე. ასევე მათი განცხადებებსა თუ პოზიციებზე დაყრდნობით მათი იდენტობის შესწავლა, რომლის საფუძველზეც ხორციელდება საგარეო პოლიტიკა. ასევე თეზისში გამოყენებულია სხვადასხვა ორგანიზაციებისა თუ მკვლევარების მიერ ჩატარებული კვლევები, ინფორმაციის ანალიზი, რომელზე დაყრდნობითაც შესაძლებლომა მეძლევა პოზიციისა და მიმართულების ჩარჩო შევქმნა.

თავი I. სახელმწიფო იდენტობის ცნება საერთაშორისო ურთიერთობებში.

კონსტრუქტივიზმის თეორიაზე დაყრდნობით შეგვიძლია ვთაქვათ, რომ სახელმწიფოს იდენტობის გაგება გვეხმარება, მოვახდინოთ ქვეყნის ქცევის მოდელის წინასწარმეტყველება საერთაშორისო ურთიერთობებში.(Hopf, 1998). იდენტობა არის შედარებით სტაბილური გზა კონცეპტუალიზაციის, რომელიც ასახავს ინფორმაციას და მოლოდინებს საკუთარი თავის შესახებ, შემდეგ კი დანარჩენი სამყაროს შესახებ. იმისათვის, რომ სახელმწიფო იდენტობის ცნება სრულყოფილად გავიგოთ აუცილებელია მოხდეს სახელმწიფო იდენტობების ორ ეტაპად ანალიზი. პირველი, შიდასახელმწიფოებრივი ფაქტორები და მეორე, გარე სახელმწიფოთაშორისი სოციალიზაციის შედეგად შეძენილი ფაქტორები.(Wendt,1994)
შიდა ფაქტორებში მოიაზრება პოლიტიკური ელიტა და საზოგადოება. ფართოდ გაზიარებულია აზრი იმის შესახებ, პოლიტიკური გადარჩენისათვის ელიტა ეყრდნობა მის მოსახლეობას, შესაბამისად არ არის გასაკვირი, როდესაც პოლიტიკური ელიტა საგარეო პოლიტიკას ქმნის სწორედ ამ ინტერესების გათვალისწინებით. ის ფაქტი, რომ ამგვარი საგარეო პოლიტიკის განხორციელება შიდა სახელმწიფოებრივი ინტერესების საფუძველზე ხდება გასაკვირი არ არის. იდენტობაზე დამყარებული პრეფერენციები, კონსტრუქტივიზმის მთავარი მიმართულებაა, ხაზგასასმელია „მე“ /“ჩვენ“ და „სხვა“/„სხვები“-ს აღქმის მნიშვნელობა სწორედ ამ იდენტობის ჩამოსაყალიბებლად. იდენტობა მთლიანად კონსტრუირებულია და არა ბუნებრივი, შესაბამისად „მე“და „სხვა“-ს აღქმა ხდება მხოლოდ სუბიექტური პრიზმიდან. (Wendt,1999,გვ. 405). ქვეყნის საგარეო პოლიტიკა არ არის მხოლოდ იმ პოლიტიკის განხორციელება, რაც მის ინტერესის სფეროს წარმოადგენს, ამ პროცესით გამოიხატება ქვეყნის სრული იდენტობა და არსი, ის რაც არის.(Fuller,2007 გვ.93) იმისათვის, რომ სახელმწიფომ განსაზღვროს საკუთარი იდენტობა, აუცილებელია ეს განსაზღვრება იყოს გაკეთებული რაღაცათან მიმართებაში, საკუთარი

თავის იდენტიფიცირება ვიღაცასთან, ან ვიღაცის წინააღმდეგ მოხდეს. ზემოთ ხსენებულზე დაყრდნობით სახელმწიფოს იდენტობა შეიცავს იდეას თუ როგორი როლი უნდა მოირგოს ქვეყანამ საერთაშორისო ურთიერთობებში და რა სტატუსით იყოს იგი წარმოდგენილი სოციალიზაციის პროცესისას.(Matsumura,2008;გვ 3)
როდესაც ნაშრომის განმავლობაში ვსაუბრობ სახელმწიფოს იდენტობაზე, ეს არ იქნება ამ უკანასკნელის გასულიერების მცდელობა(ანტროპომორფიზაცია/anthropomorphizing), არამედ სიტყვა სახელმწიფო ხშირად, - შემოკლებული იქნება როგორც ვარიაცია სახელმწიფო მმართველებისა და პოლიტიკური ელიტის(Alexandrov,2003; Buzan,2007).
ქვეყნის იდენტობა არის პრიზმა , საიდანაც საზოგადოება/სახელმწიფო იგებს საკუთარ ადგილს სამყაროში, მისი მეშვეობით ხდება აღქმა სხვადასხვა მოვლენების საერთაშორისო ურთიერთობებში. ინტერესები არის ერთ-ერთი მამოძრავებელი ძალა იდენტობის, იგი მნიშვნელოვან როლს თამაშობს იდენტობის ჩამოყალიბებაში. ინტერესებს მივყავართ კონკრეტულად მიმართულ ურთიერთობებთან, ამ უკანასკნელის ცვლილებამ კი რა თქმა უნდა შესაძლებელია, რომ შეცვალოს იდენტობაც. თუმცა მორალური ღირებულებები, რომელიც პოლიტიკურ ელიტას გააჩნია ვერ მოახდენს ინტერესების რადიკალურ ცვლილებას. ის თუ როგორ აღიქვამს პოლიტიკური ელიტა სახელმწიფოს როლსა და მიზანს საერთაშორისო ურთიერთობებში არის გადამწყვეტი, რადგან სწორედ ამ აღქმული სუბიექტური რეალობის შედეგად ხდება სახელმწიფოს სახის წარდგენა სხვა ქვეყნებთან ურთიერთობაში(სოციალიზაციისას). მოცემული ორი კომპონენტის საფუძველზე იკვეთება/ყალიბდება სახელმწიფოს იდენტობა, რომელიც საბოლოო ჯამში მის მიერ საგარეო პლათფორმაზე მიღებულ გადაწყვეტილებებში ინერგება.
სახელმწიფო იდენტობის ჩამოყალიბების მეორე ეტაპი, ეს არის ელიტის არჩეული, გაფილტრული ინტერესებისა და ღირებულებების საფუძველზე განხორციელებული საგარეო პოლიტიკის კურსი და ამ პროცესიდან(სოციალიზაციიდან) მიღებული თუ ათვისებული ღირებულებები და ნორმები. კონტრუქტივისტულ მიდგომაზე დაყრდნობით, სახელმწიფოები არიან სოციალური აქტორები, რომლებიც ინტერაქციიდან

გამომდინარე იღებენ და ითვისებენ ნორმებსა და ღირებულებებს (Drawing 1970; Wendt,1999; Telhami,Barnett,2002) ეს არი მათი რაციონალური გადაწყვეტილება, რადგან აცნობიერებენ, რომ ამ პროცესიდან მათ აქვთ საშუალება მიიღონ სარგებელი, საკუთარი სუბიექტურად აღქმული კეთილდღეობისათვის. ამ უკანასკნელზე დაფუძნებით ვიღებთ შემდეგს -სახელმწიფო, რომლის იდენტობის კონსტრუირება მოხდა შიდა იდენტობების გავლენით(პოლიტიკური ელიტა და ნაციონალური იდენტობა)(გრაფიკი 1), ახორციელებს საგარეო პოლიტიკას სწორედ ზემოთ ხსენებული ღირებულებების, ნორმებისა და საკუთარი წარმოდგენების(„მე“ /“ჩვენ“ და „სხვა“/„სხვები“) საფუძველზე, მოცემული კურსის განსაზღვრით, როდესაც ქვეყანა შედის სხვა ქვეყნებთან ურთიერთობაში, ანუ ახდენს სოციალიზაციას, რაღაც პერიოდის განმავლობაში ამ სოციალიზაციის შედეგადაც რჩება სახელმწიფოს გარკვიეული ღირებულებები და ნორმები, შესაბამისად ამ პროცესიდანაც ხდება იდენტობაზე ზემოქმედება. გამომდინარე იქედან, რომ სახელმწიფო იდენტობის ჩამოყალიბებაში შიდა ფაქტორების შემდეგ გარე ფაქტორებიც ახდენენ გავლენას, შეიძლება დავასკვნათ, რომ სახელმწიფო იდენტობა გავლენას ახდენს ქვეყნის საგარეო პოლიტიკაზე, ქვეყნის საგარეო პოლიტიკის პროცესიც ახდენს გავლენას სახელმწიფო იდენტობაზე. (Finnemore,Sikkink,1998) მოცემულ შემთხვევაში სახელმწიფო იდენტობა საერთაშორისო ასპარეზზე გვევლინება, როგორც საწყისი და მიზეზი საგარეო ურთიერთობების, ასევე შედეგი ამ ურთიერთობებისა.(გრაფიკი 2)



(გრაფიკი 1)



(გრაფიკი 2)

საერთაშორისო პოლიტიკა არის სივრცე, ონტოლოგიური კონკურენციისა, სადაც ერთმანეთს ეწინააღმდეგებიან იმაზე თუ, როგორია სამყარო და როგორი უნდა იყოს ის. სწორედ ამიტომ კონსტრუქტივისტები გვთავაზობენ თვითონ სახელმწიფოსს, პოლიტიკური ელიტისა და ქვეყნის მოქალაქეების წარმოდგენების გაზიარებასა და მათი წარმოდგენისა და აღქმის საფუძველზე საგარეო პოლიტიკის შესწავლას. ნორმები და წესები, რომელიც საგარეო ურთიერთობების მთავარი მამოძრავებელი ძალაა არის ასევე ცენტრალური პოსტულატი საერთაშორისო პოლიტიკის გასააზრებლად. სახელმწიფოებს აქვთ შესაძლებლობა მისდიონ იმ წესებსა და ნორმებს, რომელსაც თავად აირჩევენ საკუთარი ღირებულებიდან, უბრალოდ საჭიროებიდან ან იძულებიდან გამომდინარე. მაგალითად იდენტობა შეიძლება ჩამოყალიბდეს თვითგადარჩენის მოთხოვნილებიდან გამომდინარეც, თუ ქვეყნის მთავარი ინტერესი უსაფრთხოება და თვითგადარჩენაა. ისეთ სამყაროში, სადაც იარსებებდა უნივერსალური ნორმები და ღირებულებები, რომლებიც უკლებლივ ყველა ქვეყნისათვის მისაღები და გათავისებული იქნებოდა, სახელმწიფო იდენტობის არსებობა აზრს დაკარავდა, რადგან სახელმწიფოებს შორის განსხვავება განსაკუთრებით არზროვნებითი ხასიათის, უბრალოდ აღარ იარსებებდა. (Bartelson,2001) მიუხედავად იმისა, რომ ვენდი ფიქრობს, რომ სახელმწიფოს ქცევის გასააზრებლად აუცილებელია მისი იდენტობის შესწავლა, საერთაშორისო ურთიერთობებში არ გვაქვს ერთი ფორმულირებული მოდელი იდენტობის.(Wendt,1992, 1994) ეს უკანაკნელი შეიძლება იმითაც აიხნას, რომ სახელმწიფოები განსხავებულად აღიქვამენს საკუთარ იდენტობას და როლს საერთაშორისო ურთიერთობებში. რა თქმა უნდა საქართველოსა და რუსეთის „მე“ /“ჩვენ“ და „სხვა“/„სხვები“-ს მოდელი რადიკალლურად განსხვავებული იქნება, რადგან ღირებულებები რომლის მეშვეობითაც ხორციელდება სახელმწიფოს საგარეო კურსი სრულიად კონტრასტულია, ასევე კონტრასტით ხასიათდება ორი ქვეყნის როლი და მისია საერთაშორისო ურთიერთობებში.

რადგან საქართველოს იდენტობის კონსტრუირება განპირობებულია „მე“ /“ჩვენ“ და „სხვა“/„სხვები“- ს მოდელის მიხედვით, სადაც ევროკავშირი წარმოადგენს იმ ერთობას,

რომლის ღირებულებები საქართველოს სახელმწიფოს მიერ მნიშვნელოვანად აღიქმება, ხოლო რუსეთი, როგორც „სხვა“ ისე გვევლინება და ქვეყნის იდენტობის შენებაში ანტი ღირებულებების როლს ითავსებს. რადგან ჩვენი იდენტობა მოცემული ორის გავლენით ხასიათდება აუცილებელია, რომ მათ იდენტობებიც არ გამოგვრჩეს მხედველობიდან. ბეკისა და გრანდის მიხედვით არ არსებობს ევროპის კონკრეტული ახსნა-განმარტება, არსებობს მხოლოდ ევროპიზაციის განმარტება, რომელშიც იგულისხმება ინსტიტუციური მდგრადი განვითარება. როდესაც ევროპულ იდენტობაზე ვსაუბრობთ ამ შემთხვევაში არ შეიძლება ევროპა მოიაზრებოდეს მხოლოდ გეოგრაფიული ასპექტიდან. ევროპა მეტწილად ნაზავია - შიდა და გარე პოლიტიკის, სამოქალაქო ნაციონალიზმის და სახელმწიფოებრივობის შედეგად ჩამოყალიბებული მყარი იდენტობის. ევროკავშირი კი სწორედ შედეგია ზემოთ ხსენებული ინსტიტუციური განვითარების.(Beck and Grande, 2004) როგორც საქართველოს მაგალითზე მექნება განხილული ზემოდან ქვემოთ მართული პროცესი იდენტობის ჩამოყალიბების, ასევე მოიაზრებენ ევროკავშირში კოლექტიური იდენტობის ჩამოყალიბებას ზემოდან - ქვემოთ მიმართული პროცესით. თავდაპირველად ეს პროცესი იწყება საკუთარ თავზე აზრის ჩამოყალიბებით. შემდგომ ეს იდეა თუ იდეოლოგია გადაიზრდება ღირებულებებსა და (მაგ. ადამიანის ფუნდამენტური უფლებების ქარტია) და სიმბოლიკაში (საერთო ვალუტა, ევროკავშირის ჰიმნი და სხვა) საბოლოოდ კი ხდება საზოგადოებაში იმპლემენტაცია, მათი საერთო ღირებულებების გარშემო გაერთიანებისთვის. (Karolewski,2006) ევროკავშირი იქცევა როგორც „იდენტობის ჰეგემონი“ და ამ წარმოდგენების დანერგვას ახდენს მის წრეში (ევროკავშირის წევრ ქვეყნებში), როგორც ყოვლად ჩვეულებრივი ყოველდღიურობას, ხოლო მის საზღვრებს გარეთ ეს უკანაკნელი მოქმედებს, როგორც ზემდგომი და მნიშვნელოვანი. (Karolewski,2006,2009). ვენდტის მიხედვით ევროკავშირი საერთაშორისო ურთიერთობებში კარგი მაგალითია კოლექტიური იდენტობის, სადაც სახელმწიფოები ერთმანეთს აღიქვამენ როგორც საკუთარი „მე“-ს გაგრძელებას (Wendt1994). ასევე საინტერესოა ევროკავშირის ნაციონალიზმის საკითხი, ევროკავშირისათვის სამოქალაქო ნაციონალიზმი, როგორც

ბრუტერი განმარტავს არის ის გრძნობა, რომელიც მათ აკავშირებს ევროკავშირის სისტემასთან პოლიტიკურ თუ სამოქალაქო სტრუქტურასთან, რომლის წესებიც და უფლებები არის მოქალაქეების ყოველდღიურობის ნაწილი.(Bruter; 2003; გვ115) ფართოდ გავრცელებულია და მიღებულია ის იდეა, რომ ევრკავშირი ახდენს ნორმატიული, ტრანსფორმატიული პრედომინანტური სამოქალაქო ძალის პოპულარიზაციას (Manners 2006; Schimmelfennig,Sedelmeier, 2005) სისტემისა და პოლიტიკურ სტრუქტურებთან საზოგადოების „მე"-ს გათავისება დადებითად აისახება და ხელს უწყობს ევროკავშირის სუპრანაციონალური იდენტობის წინ წამოწევას, რაც ერთგვარი გასაღებია საზოგადოების გაერთიანებისათვის. ევროპური იდენტობის წინ წამოწევა მოიაზრებს სამოქალაქო ნაციონალიზმის ჩამოყალიბებას,(Wolczuk 2000) ამგავრ სისტემაში კი საზოგადოებას აქვს შესაძლებლობა გავლენა იქონიოს მის საგარეო კურსზე. როგორც ავტორები ადასტურებენ, რაც უფრო დიდხანს იმყოფება ქვეყანა ევროკავშირში, სამოქალაქო პასუხისმგებლობების გაცნობიერება და შესაბამისად სამოქალაქო ნაციონალური იდენტობის ჩამოყალიბება მით უფრო ძლიერდება.(Anderson, Reichert,1996; Bruter,2005,გვ31; Greenstein,1965; Hix,2005; Inglehart,1971; Lubbers,Scheepers,2007;)

ევროკავშირი წარმოადგენს „მე" ნარატივის გაგრძელებას საქართველოს რეალობაში, რუსეთი კი „სხვა"-ს, რადგან არ გვსურს საკუთარი თავის იდენტიფიკაცია მოვახდინოთ მასთან და მაქსიმალურად ცდილობს სახლმწიფო მას გაემიჯნოს. თუ უფრო ჩავუღრმავდებით თუ რატომ არის რუსეთი „სხვა" მივხვდებით, რომ ის რისკენაც ვისწრაფვით, დემოკრატია, ლიბერალიზმი, ადამიანის უფლებები, სამართლიანობა და კანონის უზენაესობა სინონიმებია ევროკავშირის, ხოლო რუსეთის შემთხვევაში ანტი ღირებულებების მატარებელი. დემოკრატიის ცნების მოსარგებად კი აუცილებელია აკმაყოფილებდე სოციალურად დამკვიდრებულ კრიტერიუმებს. მსოფლიო რეალობაში სადაც სხვადასხვა რეჟიმის მქონე სახელმწიფოები ამტკიცებენ, რომ არიან დემოკრატიულები, მათი დემოკრატიულობა შეფასებულია მათი ქმედებებითა და საქმიანობით, რამდენად ატარებენ სრულ ან ღრმა დემოკრატიულ იდენტობას.(Rumelili,

2016)რომლის მიხედვითაც, როგორც ერთ-ერთი ავტორი განსაზღვრავს ზემოთ მოყვანილი დასავლური ღირებულებები კონფლიქტში მოდის რუსული დემოკრატიის ღირებულებებთან, მისი ქმედებები არ არის თავსებადი დემოკრატიულ სახელმწიფოსთან. ქვეყანა ცდილობს თვალი დაახუჭოს დესოვიეტიზაციის პროცესზე და არ შეეგუოს გლობალიზაციის გავლენას მსოფლიოზე.(Sakwa 1993,2010) მიუხედავად ამისა რუსეთი ცდილობს შეერწყას საერთაშორისო მსოფლიო სისტემას და მიიღოს მისგან მაქსიმალური სარგებელი, მაგრამ არა მისი ტრადიციების, ღირებულებებისა და იდენტობის დაკარგვის საფუძველზე. ეს უკანასკნელი კი, როგორც თანამედროვე რეალობა და უხლესი ისტორია გვარწმუნებს შეუთავსებელია თუმცა არა შეუძლებელი, რადგან როგორც უკვე ავღნიშნე იდენტობა არის ცვალებადი და სავსებით შესაძლებელია რუსეთმა საკუთარი მყარი პოზიციების საფუძველზე შეძლოს სახელმწიფოების შეცვლა მათთან სოციალიზაციისას. ცენტრალურმა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებმმა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, საკუთარი იდენტობა დაამყარეს იმ ფაქტის ხაზგასმაზე, რომ რუსეთი არ ეკუთვნის ევროპას, რუსეთმაც კარგად შეითავსა ეს როლი.(Berg, 2009). რუსეთის ღირებულებები რადიკალურად განსხვავდება დასავლური, ევროპული ღირებულებებისაგან, როდესაც ქართული პოლიტიკური ელიტა აცხადებს, რომ ჩვენ ვატარებთ დასავლურ ღირებულებებს და საქართველო ნაწილია ევროპის, ეს ავტომატურად ნიშნავს რუსეთზე დარტყმის მიყენებას რადგან ჩვენ ვემიჯნებით იმას, რაც მის ინტერესის სფეროს წარმოადგენს. ღირებულებათა კონფლიქტი დასავლეთსა და რუსეთ შორის საბჭოთა კავშირის შექმნის დღიდან მიმდინარეობს, დღეს კი ტრანზიციაში მყოფ ქვეყნებში ეს იდეოლოგიური ღირებულებათა ბრძოლა თვალსაჩინოდ ვლინდება. საქართველოს მოსახლეობის პოლიტიკური ელიტისა და ექსპერტების უმრავლესობაც იზიარებს ამ მოსაზრებას- „რუსეთი, რომ ხედავდეს საკუთარ თავს როგორც ევროპული ოჯახის წევრს, ჩვენი დაბრუნება ევროპაში იქნებოდა გაცილებით მარტივი.“ (Kakachia, Minesashvili; 2014)

თავი II. საქართველოს პოლიტიკური ელიტის იდენტობის გავლენა საგარეო პოლიტიკაზე.

საქართველოს სახელმწიფოებრივი იდენტობის ჩამოყალიბება იწყება ელიტის იდენტობის ხაზგასმით. პოლიტიკური ელიტის მთავარი როლია მოახდინოს ჯერ საკუთარი იდენტობის იდენტიფიკაცია შემდგომ კი მორალური ღირებულებების, ისტორიული გამოცდილებისა თუ უკვე ქვეყანაში დამკვიდრებული ნორმების საფუძველზე, განსაზღვროს ქვეყნის საგარეო პოლიტიკა. მოცემულ თავში განხილული იქნება პოლიტიკური ელიტის როლი საქართველოს საგარეო კურსის განსაზღვრაში. თუმცა ამასთანავე აუცილებელია დავაკონკრეტო თუ ვინ იგულისხმება პოლიტიკურ ელიტაში. თემაში პოლიტიკურ ელიტად მოაზრება სახელისუფლებო მმართველობა რომელიც, უშუალოდ პასუხისმგებელია ქვეყნის საგარეო კურსის განხორციელებაში. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ სახელმწიფოებში შეიქმნება ვაკუუმი, რომელიც საჭიროებდა შევსებას.(Light, 2003) მოცემული ვაკუუმით სარგებლობა კარგად შეუძლია პოლიტიკურ ელიტას, რომ საკუთარ ღირებულებებზე დაფუძნებით განახორციელოს საგარეო პოლიტიკა და პარალელურად შექმნას სახელმწიფო იდენტობა. თავისთავად ეს უკანსკნელი გამყარებული უნდა იყოს ისტორიული და კულტურული არგუმენტებით, რათა მოხდეს საზოგადოებაში შედარებით მარტივი დანერგვა. საბჭოთა კავშირის ნგრევის შემდეგ ახალი სახელმწიფოები ცდილობენ სახელმწიფო ინსტიტუტების გამართვას და იდენტობების შექმნა - ჩამოყალიბებას. სხვა ქვეყნებისაგან განსხვავებით მე-20 საუკუნეში, საუკონოვანი დამოუკიდებლობის წყვეტასთან ერთად, ქვეყნებს ესაჭიროებოდათ ისტორიულ დამოუკიდებლობაზე, კულტურულ და ზოგად იდეოლოგიურ სენტიმენტებზე დაყრდნობით, აეგოთ ახალი იდენტობა, რომელიც ხალხის ძველ ბუნებრივ მდგომარეობასთან ახლოს იქნებოდა. საქართველო და მათ შორის უმრავლესი პოსტსაბჭოთა ქვეყანები ამ მხრივ უნიკალურადაც შეიძლება ჩაითვალოს, რადგან ამ ქვეყნებში იწყება, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოს იდენტობის შექმნა/შენება

ასევე, ნაციონალური და პოლიტიკური ელიტის იდენტობის შექმნაც. ახლად აღმოცენებულ სახელმწიფოსთვის კი საფუძველი, რომელზეც რაიმეს შენება უნდა განხორციელდეს არის იდეები, ღირებულებები და სიმბოლოები. (Stephen Jones; 2003) საბოლოო ჯამში, ამ მოცემულობის ათვისება კი პოლიტიკური ელიტის გადაწყვეტილებებს ეფუძნება. ქვეყნის შენების საწყის ეტაპზე ელიტის გავლენით, ხდება სახელმწიფოსა და ნაციონალური იდენტობის ჩამოყალიბება. სწორედ ამიტომ, განსაკუთრებით პოსტსაბჭოთა ქვეყნებში, მმართველი ხელისუფლების იდეები, პირდაპირ ვლინდება ქვეყნის საგარეო პოლიტიკაში, შესაბამისად აისახება ქვეყნის იდენტობაზეც. როგორც შესავალში უკვე ვახსენე საქართველოს იდენტობის აღწერას ვიწყებ ვარდების რევოლუციიდან, 2003 წლიდან. სადაო იქნება იმ მოსაზრების ფორმულირება, რომ სახელმწიფო იდენტობის კონსტრუირება მოხდა სწორედ ამ პერიოდში და დამოუკიდებლობიდან 2003 წლამდე საქართველომ ვერ მოახერხა ამ უკანასკნელის შექმნა. თუმცა ის ფაქტი, რომ გამსახურდია ცდილობდა პროკავკასიური, რეგიონალური იდეის შექმნას საქართველოს კონტექსტში მნიშვნელოვან მცდელობადაც კი შეიძლება ჩავთვალოთ იდენტობის კონსტრუქციისა. საქართველოს ისტორიის განმავლობაში პოლიტიკურ ელიტას განსხვავებული წარმოდგენები ჰქონდა საქართველოს იდენტობაზე, გამსახურდია კავკასიური იდეით ცდილობდა ნაციონალური კულტურის გაძლიერებას, დასავლური გავლენის წინააღმდეგ (Jones,2003) შევარდნაძის მმართველობა კი გამოირჩეოდა ნაცრისფერი პოლიტიკით, რთულია ვარაუდი იმის შესახებ, როგორ ახდენდა მაშინდელი ელიტა თავის იდენტიფიკაციას, იყო თუ არა რუსეთი „სხვა“ თუ „ჩვენ“. სამწუხაროდ ამ დასკვენების გაკეთება ჭირს იმ პერიოდის საქართველოს საგარეო ურთიერთობების ანალიზზე დაყრდნობით. მიუხედავად იმისა, რომ პოლიტიკურ ელიტაში არსებობდა სენტიმენტები ევროპის მიმართ, და ეს რამოდენიმე ხელშეკრულებასა და ორგანიზაციაში შესვლითაც გამოიხატა - მაგალითად 1999 წელს გავხდით ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის წევრი, რაც ლიბერალური სავაჭრო პოლიტიკის გატარების ლოგიკური შედეგი იყო. (USAID, 2012) ასევე 1997 წელს საერთაშორისო მნიშვნელობის

ენერგეტიკულ პროექტს ბაქო-სუფსის ნავთობსადენის მშენებლობას ჩაეყარა საფუძველი „საუკუნის პროექტად“ (Kvirikashvili, 2016) წოდებულმა მშენებლობამ სცადა საქართველოს გეოპოლიტიკური მნიშვნელობის ხაზგასმა და ისტორიულად სატრანზიტო (აბრეშუმის გზა) ქვეყნის იდენტობის დაბრუნება (Jones, 2003). ასევე 1999 წლის 27 აპრილს გავხდით ევროპისს საბჭოს წევრი ქვეყანა, რომლის წევრობისას აღებული ვალდებულებები ითვალისწინებდა ქვეყანაში დემოკრატიის, კანონის უზენაესობისა და ადამიანის უფლებების პრობლემების აღმოფხვრასა და განმტკიცებას. 2002 წელს კი პრეზიდენტმა ნატოს წევრობის სურვილიც კი გამოთქვა პრაღის სამიტზე.(civil.ge) მიუხედავად ჩამოთვლილისა რუსეთის მიმართ „დაყვავების“ პოლიტიკა, მოცემულ ნაბიჯებს არ ხდიდა სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის სწორხაზოვან მნიშვნელობის მატარებლად, შესაბამისად მისი განხორციელება საზოგადოებაშიც არ ხდებოდა. არ იქმნებოდა ქვეყანაში ამინდი, რომელიც ბაზისი იქნებოდა იდენტობის კონსტრუირებისათვის. ამას მოწმობს პარალელურად 1994 წელს გაფორმებული მეგობრობისა და კეთილმეზობლობლური ურთიერთობის ხელშეკრულება რუსეთთან. ასევე1995 წლიდან საქართველოს ტერიტორიაზე არსებული რუსეთის სამხედრო დანაყოფები. დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა, ორგანიზაცია, რომელიც პოსტსაბჭოთა ქვეყნების შემოკრებას ცდილობდა ახალი პლატფორმით, მისი წევრი საქართველო გახდა 1993 წელს, ხოლო ორგანიზაციის დატოვების პროცესი დაიწყო 2006 წელს თავდაცვის მინისტრთა საბჭოს დატოვებით, საბოლოოდ განხორციელდა 2009 წელს.(Civil.ge,2008).

თავად პრეზიდენტი წარმოადგენდა საბჭოთა იდეოლოგიაზე დამყარებულ პერსონას და ამ უკანაკნელს ადასტურებს მისი თანამდებობა 1985-1990წწ, საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პოზიცია. საგარეო პოლიტიკის განხორციელებისას სახელმწიფოს ინტერესების ამოსაცნობად აუცილებელია გავიგოთ, როგორ წარმოუდგენია პოლიტიკურ ელიტას საკუთარი ქვეყნა. როგორც დემოკრატიული სახელმწიფო, იმპერია, სუპერსახელმწიფო, მსხვერპლი თუ ცივილიზაციის ნაწილი.(Thorun 2009).

იდენტობა და აღქმული ინტერესები უქმნის ელიტას კონკრეტულ წარმოდგენებს, რომელიც

შემდგომ ასახულია ქვეყნის საგარეო პოლიტიკურ ქმედებასა და ქცევაში. როგორც უკვე ვახსენე სახელმწიფო იდენტობა ყალიბდება საკუთარი თავის შეცნობით, შემდგომ უკვე შენი მსგავსი - სახელმწიფოების იდენტიფიკაციით და ანტი - „სხვა“ სახელმწიფოს იდენტიფიკაციით. „სხვა“ - ს აღქმა საქართველოს რეალობაში შემოვიდა ვარდების რევოლუციის შემდეგ. წინა პერიოდში ქვეყანა ცდილობდა დაებალანსებინა ურთიერთობა ევროპასა და რუსეთს შორის ისე რომ არ გამხდარიყო ეს კონფლიქტის საფუძველი, თანაც არ დაეკარგა ის ევროპული ფესვები და ღირებულებები. რევოლუციის შემდგომ ხაზგასმით მოხდა „სხვა“ სახელმწიფოს აღქმა, რომელიც პირდაპირ წარმოადგენდა საქართველოსათვის ეგზისტენციურ საფრთხეს. შევარდნაძის მმართველობის პირველ წლებს შეიძლება ეწოდოს პოსტ-სოვიეტიზმი, მეორე ნახევარში კი პროდასალვური მესიჯებიც გაჟღერდა, თუმცა მაინც სუსტი (Jones,Kakhishvili,2013). დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, ქვეყნის განივთარებისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი იყო სახელმწიფოს შენება, ინსტიტუციებისა და კონსტიტუციური უფლებების გამართვა. საზოგადოებისთვის კი უნდა მომხდარიყო ამ პროცესების, არსისა და მნიშვნელობის განმარტება.

თუ საქართველოს საგარეო პოლიტიკას გადავხედავთ დამოუკიდებლობის მოპოვებიდან დღემდე, შევამჩნევთ რაოდენ დიდი გავლენა ჰქონდა მცირე ელიტას ჩვენი საგარეო პოლიტიკის რადიკალურ ცვლილებებზე. როგორც სტივენ ჯონსი ამბობს, შეუძლებელია საქართველოს საგარეო პოლიტიკა ახსნა თუ არ გაიგე საქართველოს ელიტის იდეები, წარმოდგენები.(Jones, 2003)

რევოლუციის შემდეგ ახალი მთავრობის მოსვლით შეიცვალა მიდგომა, პრიორიტეტები და გზები საგარეო პოლიტიკის კურსში. ყურადღება, რომ გავამახვილოთ ელიტის იდენტობაზე არის აუცილებელი, რადგან მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა ახალგაზრდა, ენერგიული დასავლეთში განათლება მიღებული მთავრობა მისი წინამორბედისგან. „საქართველოს თანამედროვე ელიტის უმრავლესობას განათლება მიღებული აქვს დასავლეთში და გაიზარდნენ ანტირუსული სენტიმენტებით და იღებდნენ რუსულ -

ქართულ კონფრონტაციას, როგორც იდეოლოგიურ ჭიდილის იმპერილისტური, ავტორიტარული რუსეთისა და დემოკრატიული ევროპული საქართველოსი.“(Kakachia, 2009) ამ იდეას ბევრი ავტორი ეთანხმება, მათ შორის მიჩელი, რომელიც იზიარებს იმ აზრს, რომ საქართველოს დასავლური გეზი განვითარებულია მისი პოლიტიკური ელიტის მიერ. ერთ - ერთ მთავარ მიზეზად ასეთი დამოკიდებულებისა და აზროვნებისა ის მიიჩნევს დასავლურ განათლებას, რომელიც პირველ რიგში სააკაშვილს და შემდგომ მის მიერ დანიშნულ კაბინეტის წევრებს ეხება. ასევე ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ იშვიათად მოიძებნება ქვეყანა, რომელშიც ამდენი დასავლური განათლების თანამდებობის პირები არსებობენ, როგორც საქართველოში.(Mitchell;2006). საქართველო და პოსტსაბჭოთა სივრცის სახელმწიფოები, გარდა საკუთარი მატერიალური კეთილდღეობისა ეძებენ იდეურ, იდეოლოგიურ და ღირებულებით მიმართულებებსაც, რომლის მიხედვითაც დაიწყება სახელმწიფო შენება. საქართველოს მრავალფეროვანი ისტორიიდან და კულტურული მემკვიდრეობიდან გამომდინარე თავისუფლად შეიძლება ქვეყანა მივაკუთნოთ რამდენიმე რეგიონს: პოსტსაბჭოთა სივრცეს, კავკასიას და შუა აზისაც კი. თანამედროვე რეალობიდან გამომდინარე კი ვხედავთ, რომ ყველა მოცემული რეგიონიდან საქართველომ საკუთარი თავის იდენტიფიკაცია მოახდინა ევროპასთან, და ევროპულ იდენტობასთან. (კაკაჩია; მინესაშვილი; 2014)

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, ქვეყნები როლმლებიც გეოგრაფიულად ევროპას მიეკუთვნებოდნენ, მათ სჭიდებოდათ, რომ ლოკაციასა და ნაციონალურ/სახელმწიფო იდენტობასთან კავშირი დაედასტურებინათ, გაემყარებიათ ან შეექმნათ. საგარეო პოლიტიკა კი მთავარი გასაღები იყო მოცემული თავსატეხის. ვარდების რევოლუცია იყო ერთ-ერთი პირველი რევოლუცია, (ბალტიისპირეთის ქვეყნების შემდეგ), რომელიც საბჭოთა მარწუხებიდან საბოლოო განთავისუფლებას გულისხმობდა, ამჯერად მენტალურ დესოვიეტიზაციას და ეს იყო აღქმული დასავლეთის მიერ, როგორც მთავარი დემოკრატიული პროგრესის დასაწყისი ამ რეგიონში. (Mitchell;2006)

ნაციონალური მოძრაობის მიერ საქართველოს მნიშვნელობის, ევროპაში მისი ბუნებრივი ადგილის დაბრუნების რიტორიკა საკმაოდ აქტუალური და დამაჯერებელი იყო. თავდაპირველად საკუთარი მოსახლეობისთვის, რომელსაც აღარ ახსოვდა ზემოთ ხსენებული ბუნებრივი მდგომარეობა, შემდგომ კი საერთაშორისო საზოგადოებისთვის. საქართველოს პოლიტიკურ რეალობაში, მმართველი პარტიების ნაკლებად ხშირი როტაცია გვეხმარება მეტად ჩავუღმავდეთ მათ მიერ წარმოებულ საგარეო კურსს, დროში გაწელილი პროცესი ანალიზის მეტ შესაძლებლობასა და საშუალებას იძლევა. მმართველი ელიტის ცვლილება სახელმწიფოში, ქვეყნის საგარეო პოლიტიკის მიმართულებასაც ცვლის.(Skidmore 1997) დამოკიდებულია, რამდენად განსხვავებული იდენტობა აქვს ახლად არჩეულ კოალიციას, სწორედ ამის მიხედვით შენარჩუნდება ან სხვა მიმართულებას აიღებს ქვეყნის საგარეო პოლიტიკა. დროთა განმავლობაში რა თქმა უნდა იდენტობის ცვალებადობა შესაძლებელია, თუმცა ეს არ ხდება სტაბილურ დემოკრატიულ სახელმწიფოებში, მთავარი ღირებულებები პარტიების ცვლილებით არ იცვლება.
2018 წელს ჩატარებული კვლევისას(Kakachia; Minesashvili; Kakhishvili; 2018) გამოიკითხა ნაციონალური მოძრაობისა და ქართული ოცნების ოცამდე თანამდებობის პირი. ავტორებმა ჩაატარეს ოცამდე სიღრმისეული ინტერვიუ პოლიტიკური ელიტის წარმომადგენლებთან. ასევე კვლევაში წარმოდგენილია სიღმისეული ანალიზი სახელმწიფოს ოფიციალური დოკუმენტების. კვლევის მთავარ მიზანს წარმოადგენდა მომხდარიყო ელიტის წრის წარმოდგენების აღქმა და გაგება, რის საფუძველზეც ისინი ახორციელებენ საგარეო პოლიტიკას. ერთ - ერთი მთავარი პრობლემა, რომელიც ხელისუფლებაში მოსულ თითოეულ მთავრობას გააჩნია, არის თუ, როგორ დააბალანსოს და წარმოადგინოს საკუთარი თავი საქართველომ, რუსეთსა და დასავლეთს შორის. ნაციონალურმა მოძრაობამ ევროინტეგრაციის აგრესიული პოლიტიკით გადაწყვიტა სწრაფი წინსვლა დასავლეთისაკენ, მათთვის ეს იყო მთავარი საშუალება რუსეთისათვის წინააღმდეგობის გაწევის. საერთაშორისო პლატფორმებზე საქართველოს პრობლემების წინ წამოწევა ერთ-ერთ მთავარ სტრატეგიას წარმოადგენდა, ეს აზრი კი ერთიანდებოდა

ისეთ ნარატივში როგორიც არის, საქართველოს პრობლემები, ეს ნაწილია ევროპის პრობლემების, რადგან ჩვენ მათი ნაწილს წარმოვადგენთ (Saakashvili, 2011). სააკაშვილის განცხადებებით ვლინდება მისი აღქმა რუსეთის მიმართაც, რომ საქართველო და პოსტსაბჭოთა სივრცე, რუსეთისთვის დღემდე წარმოადგენს სტრატეგიულ, ისტორიული სენტიმენტებით გაჯერებულ ტერიტორიებს წორედ ამიტომ იგი ამ ქვეყნებს გავლენის სფეროებად აღიქვამს. ამ უკანასკნელის თავიდან აცილება, მისი აზრით, მხოლოდ დასავლეთთან ინტეგრაციით კონკრეტულად კი ევროინტეგრაციით არის შესაძლებელი. ჩატარებული კვლევის საფუძველზე ვლინდება, რომ ქართული ოცნების მმართველობას ცოტა განსხვავებული დამოკიდებულება აქვს რუსეთთან მიმართებაში. განსხვავება მდგომარეობს შემდეგში - ქართული ოცნება არ გამორიცხავს და შესაძლებლად ესახება რუსეთთან ურთიერთობის დასტაბილურება. ნაციონალური მოძრაობისგან განსხვავებით, რაც კომუნიკაციის გაუქმებას გულისხმობდა ორ მხარეს შორის, ქართული ოცნებისათვის რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების მოგვარებას, პრობლემის ლოკალიზებაში ხედავენ. ეს უკანასკნელი გამოიხატება დიფერენცირებაში რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის და პარალელურად ევროინტეგრაციის. ქართული ოცნებისათვის საქართველო არის დამოუკიდებელი ძლიერი მოთამაშე საერთაშორისო ასპარეზე, რომელსაც თვითონვე შესწევს ძალა მოაგვაროს პრობლემური ურთიერთობები და ამისათვის არ არის საჭირო მესამე ძალის, როგორც მედიატორის ჩართულობა.(Kakachia; Minesashvili; Kakhishvili; 2018) ავტორების კვლევიდან ირკვევა, რომ სწორედ რუსეთია „სხვა“, რომლის გარშემოც მიმდინარეობს სახელმწიფო იდენტობის კონსტრუქცია. მიუხედავად იმისია, რომ ორივე პოლიტიკური ელიტა რუსეთის „სხვა“ -ობის ხარჯზე ქმნის სახელმწიფო იდენტობას, მოცემული „სხვას“ აღქმა ერთგან უფრო რადიკალურად ვლინდება, მეორე შემთხვევაში შედარებით რბილად. ნაციონალური მოძრაობა თვლის, რომ რუსეთს არ გააჩნია დასავლური იდენტობა და არ არის მისი ნაწილი, ის 21 -ე საუკუნეში იმპერიალისტური იდენტობით ხასიათდება. ოცნების აზრით კი რუსეთი საბჭოთა კავშირის დანგრევის შემდეგ მისი სახელმწიფოებრივი იდენტობა ფორმირებაშია, სწორედ ამიტომ თანამედროვე

სამყაროში ვერ იპოვა საკუთარი ადგილი. ორივე პარტია აღიარებს, რუსეთის ინტერვენციონისტულ პოლიტიკას პოსტსაბჭოთა სახელმწიფოების მიმართ, თუმცა ქართული ოცნება ოპტიმისტურად არის განწყობილი რუსეთის დემოკრატიზაციის მიმართ, სადაც ნაციონალურ მოძრაობას არ სჯერა იდენტობა შეცვლილი რუსეთის. ოცნება წინა ხელისუფლებას ადანაშაულებს არაპრაგმატული საგარეო პოლიტიკის განხორციელებაში, რასაც ემოციური საფუძველი ჰქონდა და ომით დასრულდა. ამჯერად კი მათი საგარეო პოლიტიკა რაციონალურობითა და პრაგმატულობით ხასიათდება.

საერთო და განსხვავებული აღქმები
საქართველოს იდენტობისა და საგარეო პოლიტიკის -

	ნაციონალური მოძრაობა	ქართული ოცნება
„მე“/„ჩვენ“	ევროკავშირი	ევროკავშირი
„სხვა“/„სხვები“	რუსეთი	რუსეთი
რუსეთ საქართველოს კონფლიქტი	ახდენდა კონფლიქტის ინტერნაციონალიზაციას	ახდენს კონფლიქტის რეგიონალიზაცია/ლოკალიზაციას
რეგიონის აღქმა/გეოპოლიტიკური მდგომარეობა	დიდი შესაძლებლობის მქონე რეგიონი რომელიც იწვევს განვითარებული ქვეყნების დიდ ინტერესს	კონფლიქტური რეგიონი სადაც ყოველთვის არსებობს საფრთხე რუსული ინტერვენციის

(Kakachia; Minesashvili; Kakhishvili; 2018)

მიუხედავად იმისა, რომ პარტიული დამოკიდებულებები განსხვავებულია რიგ საკითხებზე. ორივე პარტია მოქმედებს იდენტობის იმ ჩარჩოსა და აღქმების საფუძველზე, რომელიც 2003 წლის რევოლუციის შემდგომ შეიქმნა. პოლიტიკური ელიტა როგორ მოახერხებს კონფლიქტის მოგვარებას რუსეთთან და რა გზებით შეეცდება ევროკავშირში ინტეგრაციას, რა თქმა უნდა საინტერესო და მნიშვნელოვანია, თუმცა მთავარ ფაქტსა და

მიმართულებას არ ცვლის. ადვილი შესაძლებელია ამ უკანასკნელის ამხსნელ მიზეზად 2008 წლის ომი დასახელდეს, რომელშც „სიმწვავე საქართველოს ტერიტორიული ოკუპაციისა არის ის ფაქტორი, რომლის გარშემოც ერთიანდება ყველა ქართული პარტია“(Kakachia;2009), საზოგადოებასთან ერთად. სწორედ ამიტომ, მიუხედავად მომავლი ცვლილებებისა რადიკალურ, იდეოლოგიურ გადატრიალებას არ უნდა ველოდეთ, რადგან საქართველოს ანტიდასავლური იდენტობის ან პრორუსული იდენტობის მშენებლობა არც პოლიტიკურ სივრცეში და არც საზოგადოებაში მასობრივ მხარდაჭერას ვერ მოიპოვებს. ქართული პოლიტიკური ელიტა რუსეთთან კონფრონტაციას ხედავს არა მხოლოდ, როგორც გეოპოლიტიკურ ან ეკონომიკურ ჭრილში არამედ იდეოლოგიურადაც, რაც გამოიკვეთა (Gvalia, Siroky, Lebanidze, Iashvili, 2015) კვლევით, სადაც ექსპერტთა და პოლიტიკოსთა უმრავლესობა რუსეთის მოკავშირედ გახდომას გამორიცხავს, რადგან ქვეყნისათვის ეს იქნება რეგრესი. მათი აზრით იმ შემთხვევაში თუ ასეთი რეალობა დადგება საქართველოს მოუწევს რუსული მოდერნიზაციის ათვისება და ფეხის აწყობა, რაც ქვეყანას დააბრუნებს 90-იან წლებში.

მოცემული ორი მმართველი ძალის შედარებით, კარგად ვლინდება სახელმწიფოს იდენტობის მიმათულება, თუმცა თანამედროვე განვითარებული მოვლენები, არ გვაძლევს საშუალებას თვალი დავხუჭოთ მიმდინარე არაფორმალური მმართველობის ასპექტზე, რომელიც მოცემული ამხსნელი ცვლადების გავლენას ასუსტებს სახელმწიფო იდნეტობაზე. ეს უკანასკნელი გამოიხატება სახელმწიფოს არაფორმალურ მმართველობაში - ოლიგარქების მიერ. აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში მიმდინარეობს “დემოკრატიის ოლიგაქრიზაცია”, რომლის პირდაპირი გავლენა ცვლის სახელმწიფო იდენტობის კვლევის ჩარჩოს, შესაბამისად საგარეო კურსს. მოცემული თემა არ უღრმავდება არსებულ პრობლემას რომელიც აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებშიც დგას, თუმცა არ იქნება კვლევა ვალიდური თუ არ მოხდება ამ ფაქტის ხაზგასმაც. დღეს ცენტრალურ ევროპაშიც (ჩეხეთი, უნგრეთი) დადგა ეს პრობლემა, რომელიც ძირითადად დამახასიათებელია აღმოსავლეთ

ევროპის ქვეყნებისათვის, სახელმწიფოებისთვის რომელებიც დემოკრატიზაციის პროცეში არიან. დემოკრატიულ სახელმწიფოებში მოცემული გამოვლინებები არასახარბიელოა ქვეყნის ლიბერალური პრინციპების განვითარებისთვის, რადგან ასეთი მმართველობისთვის ძალაუფლება უტოლდება ფულს (Kalnoky; 2019). ოლიგარქია განმარტებულია, როგორც სახელმწიფო სისტემის ერთ-ერთი ფორმა, რომელშიც პატარა და არაფორმალური ჯგუფი წარმართავს პოლიტიკის კურსს.(Konończuk, Cenuşa, Kakachia; 2017). თანამედროვე დისკურსიში აქტიურად განიხილავენ მოცემულ პრობლემას, ფორბსმა გამოსცა სტატია სათაურით „ჩვიდმეტი ოლიგარქი რომელებიც მართავენ აღმოსავლეთ ევროპას“ (Sergheev, Varga, 2018), სადაც 17 ქვეყანას შორის (სომხეთი, აზერბაიჯანი,ბოსნია, ბულგარეთი, უნგრეთი, კოსოვო, ლატვია მაკედონია,მოლდოვა, მონტენეგრო, რუმინეთი, რუსეთი სერბია,სლოვაკეთი,უკრაინა და ბელორუსია) ერთ-ერთი საქართველოა. 2012 წლის ხელისუფლებაში მოსვლის შემდგომ, ივანიშვილმა დატოვა პოლიტიკური ასპარეზზი თუმცა, ამჯერად „კულისებიდან“ აგრძლებს ქვეყნის მართვას. სწორეს ამ უკანასკნელის გათვალისწინებით ჩატარებული კვლევები, რომლებიც არ ითვალისწინებენ მოცემულის როგორც ცვლადს, ვერ ჩაითვლება სრულფასოვნად. მოცემული საკითხი სიღრმისეულ შესწავლას საჭიროებს, ის ჯერ კიდევ სიახლეს წარმოადგენს ქართულ რეალობაში, სწორედ ამიტომ მოცემული კვლევა ვერ იქნება ორიენტირებული ამ საკითხზე, თუმცა არ გაურბის მის დანახვასა და არსებობას ქვეყნის იდენტობის კონსტრუქციის პროცესში.

საქართველოს საგარეო კურსისი მთავარი მიზანი, დასავლური სტილის დემოკრატიის შექმნაა, რომელიც მოკლევადიან პერსპექტივაში შეიძლება ასოცირდებოდეს ეკონომიკურ-უსაფრთხოებრივ მსხვერპთან, თუმცა გრძელვადიან პერსპექტივაში საქართველო გახდება ერთ-ერთი მთავარი ქვეყანა რეგიონში, რომელმაც შეძლო დასავლური პრინციპებისა და ღირებულებების დამკვიდრება. (Gvalia, Siroky, Lebanidze, Iashvili, 2015).

ელიტის მიერ ფორმულირებული სახელმწიფო იდენტობები და საგარეო პოლიტიკა უცხო არ არის დანარჩენი მსოფლიოსათვის, განსაკუთრებით პოსტსაბჭოთა სივრცისთვის. ამ ქვეყნებმა გაცილებით გვიან დაიწყეს სახელმწიფოს მშენებლობა ვიდრე დანარჩენმა განვითარებულმა სამყარომ. 2011 წელს ჩატარებულ კვლევაში, რომელიც უკრაინის იდენტობის შენებას ეხება პოსტსაბჭოთა უკრაინაში, ავტორები(Melnykovska, Schweickert Kostiuchenko, 2011) ხაზს უსვამენ საკუთარ კვლევაში რუსეთისა და ევროკავშირის გავლენას უკრაინის იდენტობის ჩამოყალიბებაზე. უკრაინაშიც იკვეთება პოლიტიკური ინტერესებისა და სახელმწიფოს იდენტობის ფორმაციის სინქრონი ევროკავშირსა და რუსეთან მიმართებაში. პოსტკომუნისტური ქვეყნებისთვის დესოვიეტიზაციის პროცესის დაჩქარება ევროკავშირში ინტეგრაციით არის შესაძლებელი. ევროკავშირის ძველი და ახალი სახელმწიფოებიც იზიარებენ საერთო ინტერესებს, რომელიც მდგომარეობს კომუნისტური იდეოლოოგიდან განთავისუფლებაში და ევროპაში დაბრუნებით გამოიხატება (Karolewski, 2006).

საქართველოს მიერ აღებული ამგვარი პროდასავლური, ევროინტეგრაციისა და ევროპეიზაციის პროცესის ახსნა საკმაოდ უჭირთ სხვადასხვა თეორიებსა და თეორეტიკოსებს. განსაკუთრებულად კი 2008 წლის ომის შემდეგ პროდასავლური კურსის გაძლიერების ახსნა საკმაოდ გაუჭირდათ. პატარა სახელმწიფოების საგარეო პოლიტიკა აღიარებული და გაზიარებული ცოდნის მიხედვით მოიაზრებს დიდი სახლემწიფოების ზედამხედველობის ქვეშ ყოფნას,“მიტმასნების“ პოლიტიკის განხორციელებას.(bandwagon) განსაკუთრებით მაშინ თუ დიდი სახელომწიფო აგრესიული საგარეო პოლიტიკის

მატარებელია და პატარა ქვეყნისთვის საფრთხის შემცველია მის წინააღმდეგ წასვლა. (Waltz,1979; Walt,1987; Rosenau, 1966; Keohane,1969;) რელისტური მიდგომები ხსნიან სხვადასხვა სახელმწიფოს ქცევას, რომელიც ყოველთვის აქცენტირებულია ძალისა და ძალაუფლების როლზე საერთაშორისო ურთიერთობებში. საქართველოს შემთხვევის განხილვილვისას თეორიას უჭირს ახსნას რატომ არ მიეკედლა სუპერსახელმწიფოს(რუსეთს) ქვეყანა, განსაკუთრებით აგვისტოს ომის შემდეგ, როდესაც ქვეყანას გაცილებით დიდი მხარდაჭერის მოლოდინი ჰქონდა ევროპიდან(Gvalia, Siroky, Lebanidze, Iashvili, 2013) ამასთან ერთად ქვეყანა ეკონომიკურად დამოკიდებული იყო რუსეთზე. პატარა სახელმწიფოს ეკონომიკური დამოკიდებულება კიდევ უფრო რთულს ხდის დამოკიდებული ქვეყნისათვის დაბალანსებული პოლიტიკის გატარებას, მით უმეტეს თუ ეს სახელმწიფო რუსეთია და აგრესიული საგარეო პოლიტიკის განხორციელებისგან თავს არ შეიკავებს. ზემოთ მოცემულ თეორიულ ჩარჩოს დიდი როლი უნდა ეთამაშა ჩვენს საპირისპირო მიმართულებით შებრუნებაში, აგვისტოს ომში სამხედრო მარცხი უნდა ყოფილიყო ის ბოლო წერტილი, რომლის შემდეგაც საქართველო შიშის ფაქტორზე დაფუძნებით გახდებოდა რუსეთის „მოკავშირე“, რადგან მატერიალისტური ფაქტორების მიხედვით ეს უკანასკნელი შეიძლება ყოფილიყო ერთადერთი ლოგიკური დასასრული. თუმცა მოხდა საპირისპირო და ეს კიდევ უფრო დიდ გარდამტეხ მიზეზად იქცა საქართველოს პროდასავლური მიმართულებისა და ჩრდილოელი მეზობლის საბოლოო ჩამოსაშორებლად. როგორც ავტორები (კაკაჩია,მინესაშვილი;2014) მოიხსენიებენ ეს სწორედ ელიტის იდეებითა და იდენტობის შექმნით გამოწვეული ნაბიჯი იყო. საჭიროა სისტემური ფაქტობის გარდა განვიხილოთ უფრო ღრმა და ხშირად ფუნდამენტური საკითხები, როგორიც არის იდენტობა სახელმწიფოს ყოველ ეტაპზე. აგვისტოს ომის შემდეგ ბევრი მკვლევარი თუ ავტორი ახსენებს საქართველოს მდინარის საწინააღმდეგოთ ცურვის ფაქტს. (ნოდია,2011; რონდელი,2001; გვალია,2013) საქართველოსათვის ევროინტერგაციის გეზი მიდის ყველა გეოპოლიტიკური იდეის წინააღმდეგ მათი აზრით ეს არამომგებიანი პოზიციაა, რადგან ის

არ არის დაფუძნებული მატერიალურ კეთილდღეობაზე, ამას ადასტურებდა რუსეთიდან მომდინარე ეკონომიკური საფრთხის შემცველი ზეწოლა 2006-2008 წლებში. საქართველოსათვის აგვისტოს ომი არ იყო უკან დახევის საფუძველი და საპირისპიროდ ეს გახდა კიდევ უფრო დიდი მიზეზი და გამოწვევა ქვეყნისათვის, რომ არ შეცვლილიყო დასავლური კურსი, მიუხედავად იმისა, რომ არ მოხდა ევროპის მხრიდან ისეთი პოზიციის დაფიქსირება და მხარდაჭრა როგორც საზოგადოება და პოლიტიკური ელიტა მოელოდა. როგორც რონდელი მის სტატიაში წერს - „ნავთობისა და გაზის სუნი დომინირებს... გრძნობებზე სიმპატიებსა და ურთიერთგაგებაზე.“ (“smell of oil and gas [to] prevail [...] over feelings of sympathy and understanding.”) (Kakachia, 2009)

როგორც ვხედავთ კონტრუქტივიზმი გვაძლევს საშუალებას ავღწეროთ ელიტის სუბიექტური აღქმების მიხედვით ქვეყნის მიერ განხორციელებული საგარეო პოლიტიკა. ასევე მნიშვნელოვანია მოცემული ელიტის როლი ნაციონალურ იდენტობის ფორმულირებაშიც, რადგან როგორც ვენდი განმარტავს ეს უკანაკნელიც სახელმწიფო იდენტობის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია. (Wendt, 1999). 2012 წელს ჩატარებული კვლევის მიხევით, სადაც ევროპის თექვსმეტი სახელმწიფოს ელიტისა და საზოგადოების შესწავლით ემპირიული დადასტურება მოხდა ელიტის მნიშვნელობასა და გავლენას ნაციონალური და ევროკავშირის იდენტობის ჩამოყალიბებაში. ასევე კვლევამ აჩვენა რომ ელიტის მიჯაჭვულობა და მნიშვნელობა ევროკავშირის მიმართ გაცილებით მჭიდროა და მყარი ვიდრე დანარჩენი ევროპული მოსახლეობის. ეს შეიძლება იმით აიხსნას, რომ პოლიტიკური ელიტა შედგება ხალხისგან, რომლებიც არიან კანონშემოქმედები ხალხი კი შემსრულებელი. მათ აქვთ ძალაუფლება გადაწყვეტილების მიღებისა და გატარების. საბოლოოდ კი ელიტა ახორციელებს საკუთარი ინტერესებისა და იდეების გატარებას სახელმწიფო იდენტობების ჩამოყალიბებით (Lane, 2011). კომუნისტურმა იდეოლოგიამ საზოგადოება მოაქცია ჩარჩოში, ისინი წყვეტდნენ ხალხის პოლიტიკურ იდენტობას, რომელსაც ისტორიულ-კულტურული მეხსიერება და საფუძვლები არ გააჩნდა და პოლიტიკური ინსტიტუტების საფუძველზე ახდენდნენ ამ იდეოლოგიის დანერგვას.

სწორედ ახალი სახელმწიფოს შექმნა უკავშირდება ახალი ელიტის იდეოლოგიის გატარებას (Karolewski, 2011). ელიტა ახდენს კოლექტიური იდენტობის კონსტრუქციას, რეკონსტრუქციასა და დეკონსტრრუქციას. (Jenkins 2004, p. 137)

შემდეგ თავში განხილული იქნება ნაციონალური იდენტობა საქართველოში, მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოებაში იდენტობის ჩამოყალიბება ხდება ზემოდან-ქვემოთ მიმართული მოდელით, მყარი სამოქალაქო ნაციონალიზმის პირობებში საზოგადოება დიდ გავლენას ახდენს ქვეყნის საგარეო პოლიტიკის კურსზე, სწორედ ამიტომ სახელმწიფო იდენტობის სრული სურათის შესაქმნელად აუცილებელია ეს მნიშვნელოვანი მიმართულებაც არ გამოგვრჩეს.

თავი III. ნაციონალური იდენტობა

სახელმწიფო იდენტობაზე საუბრისას, რომელიც საგარეო პოლიტიკის კურსში გამოიხატება, ნაციონალური იდენტობის საკითხი არ უნდა იქნას მივიწყებული. ნაციონალური იდენტობაც ცვალებადია და ორ მთავარ მიმართულებად შეიძლება განვითარდეს. ეთნიკურ ნაციონალიზმში და სამოქალაქო ნაციონალიზმში. მვლევარების გარკვეული ნაწილი, როგორც უკვე ვახსენე თვლის, რომ ხშირად ელიტაა ის განმსაზღვრელი ფაქტორი, რომელიც მოქალაქეების ნაციონალურ იდენტობას აყალიბებს.(Gellner 1996; Lane 2011). ის ქვეყნები, რომლებიც რაღაც დროის განმავლობაში იმყოფებოდნენ იმპერიის ნაწილი, კოლონიური სახელმწიფო თუ სხვა, მეტად მიდრეკილნი არიან ეთნიკურ-ნაციონალური იდენტობის მიმართულებით და სამოქალაქო ნაციონალიზმისს განვითარებას გარკვეული დრო ესაჭიროება. თითქმის მსგავსი მაგალითია საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვება და მოქალაქეების გაერთიანება სახელმწიფო უზენაესი კანონის გარშემო. საქართველოს ისტორიაზე დაყრდნობით შეიძლება დავასკვნათ, რომ ქვეყანაში სამოქალაქო ნაციონალიზმის ჩამოყალიბება ერთგვარი გამოწვევაა, სადაც დემოკრატიული და ლიბერალური ფასეულობები არ არის ფესვგადგმული. იმისათვის, რომ უკეთ მოხდეს აღქმა თუ რა არის სამოქალქო და ეთნიკური ნაციონალიზმი წარმოვადგენ კანადელი მკვლევარის იგნატიევის დეფინიციას(Ignatieff,1995). მისი მოსაზრებით თუ ვიმსჯელებთ, ქვეყანას შეიძლება გააჩნდეს მოცემული ფორმიდან ერთ-ერთი სახის ნაციონალიზმი. სამოქალაქო ნაციონალიზმი მარტივად, რომ განვმარტოთ ეს იქნება მოქალაქეების იდენტობის ჩამოყალიბება გაზიარებული სამოქალაქო და პოლიტიკური ღირებულებების საფუძველზე. სამოქალაქო ნაციონალიზმი მოიცავს ყველა იმ ადამიანს, რომელიც ატარებს გაზიარებულ პოლიტიკურ იდეოლოგიასა და ღირებულებებს, მიუხედავად ყველანაირი ნიშნისა(ეთნიკური, რასობრივი,გენდერული და სხვა). ასეთი საზოგადოება დაფუძნებულია პრინციპებზე, რომელიც გამოიხატება თანასწორ უფლებებსა და

სახელმწიფოს ინსტიტუტების მიმართ პატივისცემაში. ხოლო ეთნიკურ ნაციონალიზმს ახასიათებს მოსახლეობის გაერთიანება ენის, რელიგიის კულტურის, ტრადიციებისა და ეთნიკური ნიშნების მიხედვით. ეთნიკური ნაცინალიზმისათვის, სახელმწიფო არ არის ვინც მართ გაერთიანებას ახერხებს, არამედ ნაციაა ის, რომელიც სახელმწიფოს აყალიბებს. შესაბამისად სახელმწიფო სტრუქტურების მიმართ პატივისცემი არ არის ეთნიკური ნაციონალიზმის მთავარი მოტივი, რადგან ფიქრობენ, რომ თვითონ შექმნეს სახელმწიფო რათა ის ემსახურებოდეს მათ. უკეთ რომ, მოვახდინო სტრუქტურიზება წარმოგიდგენთ შემდეგი სახით -

სამოქალაქო ნაციონალიზმი	ეთნიკური ნაციონალიზმი
კანონი	საერთო წარმომავლობა
არჩევანი	მემკვიდრეობა
რაციონალური დამოკიდებულება	ემოციური დამოკიდბულება
გაერთიანებული არიან გააზრებული თანხმობით	მიკუთვნება ხდება ეთნიკური,რელიგიური,ენობრივი და სხვა ნიშნებით
დემოკრატიული პლურალიზმი	ეთნიკური უმრავლესობა
თავისუფლება	„ძმობა“
ინდივიდი ქმნის ნაციას	ნაცია ქმნის ინდივიდს

კიდევ ურფრო ვრცლად რომ განვიხილოთ, სამოქალაქო ნაციონალიზმი აერთიანებს ხალხს შემდეგი ფაქტორებით :

- პოზიტიური გრძნობები სახელმწიფოსა და მისი ფუნდამენტური პრინციპებისა და ინსტიტუციებისს მიმართ. (Figueiredo, Elkins, 2003; Viroli, 1995).
- კრიტიკული მიდგომა, საზოგადოების პროგრესიი დემოკრატიული ღირებულებების მიხედვით. (Adorno, 1950; Staub1997).

- მთავარი ღირებულებებია თავისუფლება, თანასწორობა და ინდივიდუალიზმი. ამ ღირებულებებში შედის სამოქალაქო უფლებების დაცვა და კულტურული მრავალფეროვნება. (Habermas, 1990; Staub, 1997; Sternberger, 1990).
- ეთნიკური მრავალფეროვნება მისაღებია საზოგადოებისთვის.
- სხვა ნაციები და ეთნიკური უმციროსებები აღქმულია, როგორც თანასწორი.(Adornoet,1950; Viroli, 1995).

ეთნიკური ნაციონალიზმი კი შეიცავს :

- ქვეყნის იდეალიზაციას, რომელიც ასევე თანაბრად აღმერთებს ისტორიას.(Adorno,1950; Blank, Schmidt, 2003; Kosterman,Feshbach, 1989; Tajfel, 1969).
- რწმენა საკუთარი ნაციისა და ქვეყნის დომინანტურობაზე.(Adorno,1950; de Figueiredo, Elkins, 2003; Kosterman, Feshbach,1989; Schatz, Staub, 1997).
- ქვეყნის სიყვარულს ზედმეტი მნიშვნელობა ენიჭება. (Adorno, 1950).
- ხდება ხშირი შედარება კულტურებისა და ერების , მიდრეკილება არსებობს კულტურული ჰომოგენიზმის და განსხვავებულობისა.(Simon, Mummendey, 1997; Schatz, 1999)

მოცემულ წყაროებზე დაყრდნობით შეგვიძლია საქართველოში არსებული ნაციონალური იდენტობის გამოკვეთა მოვახდინოთ. ამ უკანასკნელის შესასრულებლად ვიყენებ ჩატარებულ ორ კვლევას. პირველი კვლევაა საერთაშორისო სოციალური გამოკითხვის პროგრამის მიერ 2013 წელს ჩატარებულ გამოკითხვა, რომელიც საქართველოში ეროვნული იდენტობის შესწავლას ემსახურებოდა. (ISSP-International Social Survey Programme, 2013). არსებული კვლევა იძლევა ინფორმაციას ქართული, ეროვნილი იდენტობის განმსაზღვრელი ღირებულებების, სახელმწიფოს ინსტიტუტებისადმი დამოკიდებულებასა და საერთაშორისო ურთიერთობებით დაინტერესების შეფასებას. მეორე კვლევა კი კავკასიის კვლევითი ცენტრის მიერ არის ჩატარებული და ასევე ეს კვლევაც მიზნად ისახავს ქართული მოსახლეობის დამოკიდებულებების შესწავლას, რომელზე დაყრდნობითაც შეგვიძლია მოვახდინოთ მოსახლეობის ნაციონალური იდენტობის მიდრეკილებებზე საუბარი. (CRRC, 2011,2012,2013,2015,2017;)

სოციალურ მეცნიერებათა ცენტრის მიერ 2013 ჩატარებული კვლევა ეყრდნობა საყოველთაო აღწერის მიერ (2002 წელს) შემუშავებულ სიებს, რომლის მიხედვითაც გამოიკითხა 1500 - მდე ადამიანი. რომლთა გენდერი, ასაკობრივი კატაგორია, ეთნიკური მიკუთვნება და რელიგიური მრწამსი შემდეგი პროცენტულობით არის ნაჩვენები -

გენდერი	ISSP 2013
მამაკაცი	45.4%
ქალი	54.6%
ასაკობრივი კატაგეროია	
18-30 ასაკობრივი კატეგორია	21.6%
31-45 ასაკობრივი კატეგორია	23.2%
46-55 ასაკობრივი კატეგორია	18.2%
56-ზემოთ ასაკობრივი კატეგორია	37%
ეთნიკური წარმომავლობა	
ქართველი	87.6%
აზერბაიჯანელი	6.4%
სომეხი	3.6%
სხვა	2.4%
რელიგიური მიკუთვნებულობა	
მართმადიდებელი	83%
მუსლიმი	11%
სხვა	4.2%

ქართველმა მკვლევარებმა (ბოგიშვილი,გუგუშვილი,ოსეფაშვილი, 2016) მოცემულ მონაცემებზე დაყრდნობით გაანალიზეს, ახდენს თუ არა რაიმე გავლენას რესპოდენტის სქესი, ასაკობრივ ჯგუფი და მათი განათლების დონე და სოციალურ სტატუსი. მოცემული პასუხები ასაკობრივი და გენდერული თვალსაზრისით მნიშვნელოვნად არ განსხვავდება,

თუმცა ცვლილებას ვაწყდებით განათლების დონესა და სოციალური სტატუსის გათვალისწინების შემთხვევაში.

კვლევის განმავლობაში დასმული კითხვები არის - რასთან ახდენს „ჭეშმარიტი ქართველობის“ მნიშვნელობის იდენტიფიკაციას; საქართველოში არსებული, რომელი სფერო იწვევს სიამაყესა და როგორია დამოკიდებულება ქართული ეროვნული სახელმწიფოს მიმართ. თითოეული კითხვის სავარაუდო პასუხები შეფასებულია 1-10 სადაც 10 არის, შეფასების უმაღლესი ქულა და 1 ყველაზე ნაკლებ მნიშვნელოვანი.



(დიაგრამა 1.)

პირველ მონაცემზე დაყრდნობით დაყრდნობით შეგვიძლია დავინახოთ, რომ ისეთი კრიტერიუმები როგორებიც არის : ენა, რელიგია და ეთნიკური მახასიათებლები მოსახლეობის მიერ, წინ არის წამოწეული, ხოლი შემდოგომ ქართველობა ასოცირდება - სახელმწიფო ინსტიტუტებითან და კანონთან. ეთნიკური ნაციონალიზმის ფარგლებში

შეგვიძლია გავაერთიანოთ -: „ქართველად გრძნობდე თავს“, „გყავდეს ქართველი წინაპრები“. „იყო მართმადიდებელი ქრისტიანი“ და „იცოდე ქართული ენა“. სამოქალაქო იდენტობის გარშემო ერთიანდება- : „დაბადებული იყო საქართველოში“, „გქონდეს საქართველოს მოქალაქეობა“,“ცხოვრების უდიდესი ნაწილი საქართველოში გქონდეს გატარებული“ და „პატივს სცემდე საქართველოს პოლიტიკურ ინსტიტუტებსა და კანონებს“ მოცემულ წყაროზე დაყრდნობით ვერ ვიტყვით, რომ მოცემული ორი მიმართულებიდან, რომელიმე რადიკალურად სჭარბობს, მეტ ნაკლებად დაბალანსებული მიდგომები გააჩნია მოსახლეობას, ჭეშმარიტი ქართველის იდეაში გამოყოფენ სამ მნიშვნელოვან კომპონენტს - თავს გრძნობდე ქართველად, შეგეძლოს ქართულად საუბარი, გყავდეს ქართველი წინაპრები.



(დიაგრამა 2.)

მოცემული დიაგრამა (დიაგრამა 2.) გვიჩვენებს, რომ რესპოდენტთა უმრავლესობა ამაყობს ისტორიით, სპორტითა და საქართველოს შეიარაღებული ძალებით. ყველაზე ნაკლები მნიშვნელობა დაიმსახურა დემოკრატიამ, ეკონომიკამ და საერთაშორისო

ურთიერთობებმა. ამ შემთხვევაში ეთნიკური ნაციონალური იდენტობის ჩარჩოში ერთიანდება შემდეგი პასუხები :- მეცნიერება/ტექნიკური მიღწევები, სპორტყული მიღწევები, ხელოვნება და ლიტერატურა, ისტორია და შეიარაღებული ძალები.

სამოქალაქო ნაციონალურ იდენტობაში ერთიანდება შემდეგი სავარაუდო პასუხები:- ეკონომიკური მიღწევები, სგარეო პოლიტიკა, დემოკრატია, სოციალური სისტემა და იუსტიცია



(დიაგრამა 3.)

მესამე გრაფიკი გვიჩვენებს გამოკითხულთა პასუხები მოცემული დებულების მიმართ - „სრულიად ვეთანხმები“ და „ვეთანხმების“ სიხშირის ასახვით. გამოკითხულთა უმრავლესობა ყველაზე ნაკლებად ეთანხმება იმ მოსაზრებას, რომ სახელმწიფოს მხარი უნდა დაუჭიროს საზოგადოებამ მაშინაც კი თუ ის მცდარი გზით მიდის.
ISSP – 2013 წლის კვლევის შეჯამების შედეგად ვლინდება რომ, საქართველოს სოციალურ პოლიტიკური სიამაყის მაჩვენებელი შესამჩნევად მცირეა, ნაციონალურ - კულტურლ მაჩვენებელთან შედარებით. თუმცა ასევე საინტერესოა რამდენად იმატებს, ან იკლებს ნაციონალურ - კულტურული თუ სამოქალაქო დამოკიდებულებები მოსახლეობაში. ამისათვის, განვიხილავ კავკასიური კვლევითი ცენტრის, კავკასიური ბარომეტრის მიერ

წლების განმავლობაში ჩატარებულ კვლევებს, სადაც კარგად ჩანს წლების განმავლობაში, კონკრეტულ დამოკიდებულების მიმართ ცვლილები, კლებისა თუ ზრდის ტენდეციები. ამ კვლევის ფარგლებში ავიღე ოთხი დებულება, რომელიც სამოქალაქო ნაციონალიზმის გამომხატველია და ვაკვირდები დროის განმავლობაში პროცენტული მაჩვენებლის ზრდას ან კლებას. ეს დებულებებია

-1„მნიშვნელოვანია კარგი მოქალაქე ყოველთვისს დაემორჩილოს კანონს.“;

2. „მნიშვნელოვანია კარგი მოქალაქე იყოს კრიტიკული მთავრობის მიმართ.“;

3. „მნიშვნელოვანია კარგმა მოქალაქემ ხმის მიცემით საკუთარი პოზიცია დააფიქსიროს არჩევნებში“;

4. .„მნიშვნელოვანია კარგმა მოქალაქემ შეასრულოს მოხალისეობრივი ვალდებულებები.“



(დიაგრამა 4.)

1. პირველ დებულებააში გამოიხატება საზოგადოების კანონმორჩილება. სამოქაქო საზოგადოების ჩამოყალიბებისათვის ძალიან მნიშვნელოვანია ეს უკანასკნელი. პროცენტული მაჩვენებელი 2011 წლიდან 2017 წლამდე განსაკუთრებით არ შეცვლილა, უმრავლესობის 80% -იანი მაჩვენებელი დადებით ტენდეციაზე მიგვანიშნებს.



(დიაგრამა 5.)

2. მეორე დებულების მიხედვით, 2011 წლიდან 2017 წლის ჩათვლით მთავრობის მიმართ კრიტიკული პოზიციის დაფიქსირებას 14 %- იანი ზრდა ახასიათებს, რაც ერთგვარად მოქალაქეების თავისუფლების შეგრძნებაზე მიუთითებს. ქვეყანა რომელიც საუკუნის განმავლობაში საბჭოთა ხელისუფლების ქვეშ იმყოფებოდა, გადაჩვეულია მთავრობის მიმართ საკუთარი პოზიციისა და კრიტიკული აზრისს დაფიქსირებას, როგორც მოცემული სტატესტიკით ირკვევა ეს ტენდენცია ქართველ მოსახლეობას ნაკლბად ახასიათებთ.



(დიაგრამა 6.)

3. არჩევნებზე პასიური აქტიურობა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემაა საქართველოს რეალობაში, ეს უკანასკნელიც შესაძლებელია იმ ფესვგადგმულ ტენდენციას მივაკუთნოთ, რომ საზოგადოებას არ სჯერა გამჭვირვალე და სამართლიანი არჩევნების. ამის მიუხედავად მოსახლეობის 83% მნიშვნელოვნად მიიჩნევს ამ გზით პოზიციის დაფიქსირებას. თუმცა ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს(USAID) მეშვეობით დაარსებული არჩევნების მონაცემების პორტალის ინფორმაციაზე დაყრდნობით, მოსახლეობის ეს პოზიცია იგივე ციფრებით პრაქტიკაში არ აისახება. მაგალითად, აღწერილი მოსახლეობის მიხედვით საქართველოს მასშტაბით ამომრჩეველთა აქტიურობა საპარლამენტო არჩევნებში 2004 წლიდან 2016 წლამდე 60%- ს არ აღემატება. ყველაზე დიდი აქტიურობა იკვეთება 2012 წელს 59.75%



(დიაგრამა 7.)

4. მოხალისეობრივ საქმიანობაში გამოიხატება სამოქალაქო პასუხისმგებლობა ქვეყნისა და ქვეყნის მოსახლეობის მიმართ. ამ პასუხისმგებლობის გაცნობიერება მნიშვნელოვანია რაციონალურად მოაზროვნე მოსახლეობისათვის, რომელიც აცნობიერებს საერთო სისტემის წევრად თავს, სადაც სახელმწიფო უფლებები და პასუხისმგებლობები მოქალაქეებზე თანაბრად ნაწილდება. მოცემული მე- 8 დიაგრამზე გამოსახული ტენდეცია გვიჩვენებს, რომ მოსახლეობაში ზემოთ ნახსენები მნიშვნელობების გაცნობიერება დაიწყო. სადაც 2011 წლიდან 2017 წლამდე ამ მნიშვნელობის ზრდა მოხდა 38% -ით.



(დიაგრამა 8.)

ასევე საინტერესოა ქართველი მკვლევარების მიერ ჩატარებული კვლევა (Kakachia, Markarov, 2016), სადაც ავტორები აღნიშნავენ, რომ მოსახლეობის უმეტესი ნაწილი სამოქალაქო იდენტობას აღიქვამს, როგორც ევროპული იდენტობის ნაწილს და ფუნდამენტს. ისევე როგორც პოლიტიკური ელიტის წარმომადგენლები. სამოქალაქო ნაციონალიზმი მათთვის არის საქართველოს მოქალაქე, რომელიც ერთგულია ევროპული კურსის დემოკრატიული და ლიბერალური ღირებულებების. მოცემულ წყაროებზე დაყრდნობით შეიძლება ვთქვათ, რომ საქართველო საკუთარ თავს თვლის ევროპული იდენტობის ნაწილად. თუმცა ამ იდენტობაში ორი მთავარ მიმართულებას გამოყოფს. პირველი ისტორიულ -კულტურული, როგორც იმ ევროპული ღირებულებებისა და იდენტობის მატარებელი, როგორიც ევროპაა, ქრისტიანული მიმართულება - საერთო აღმსარებლობის ქონა, რომელიც ძალიან პოპულარულია საქართველოს მოსახლეობაში. ხოლო მეორე მხარე, კი ევროპის პოლიტიკური თუ სამოქალაქო ერთიანობაა, რომელიც სწორედ სუპრანაციონალურ იდენტობაზეა დაფუძნებული - სწორედ ამ უკანასკნელის იმპლემენტაციას ცდლილობს სახელმწიფო ევროინტეგრაციით და ფესვგადგმულ ნაციონალურ-კულტურულ სენტიმენტებს ჯერ კიდევ ვერ უწევს საკმარის კონკურენციას. ეს უკანასკნელი მოსახლეობისთვის უფრო სიმბოლური და ნაცნობია, შესაბამისად მეტად ერკვევიან და გათავისებული აქვთ. როგორც მოქალაქეებს მათთვის ძალიან მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ევროინტეგრაციით შენარჩუნდება და საფრთხე არ დაემუქრება მათ ღირებულებებს, ქვეყნის მასშტაბების გათვალისწინებით, ევროპით არ გადაიფარება საქართველოს კულტურა და იდენტობა. ეთნიკური ნაციონალური იდენტობა პოსტკომუნისტური სახელმწიფოებისთვის იყო ერთადერთი იარაღი წინააღმდეგობა გაეწიათ საბჭოთა ძალისათვის და ჩამოეყალიბებინათ საკუთარი სახელმწიფო, ეს იყო ბაზისი, რომელზეც უნდა დაწყებულიყო სახელმწიფოსა და მისი ინტიტუტების მშენებლობა. (D'Anieri 2002; Shulman 2005). სამოქალაქო საზოგადოების როლისაკენ ძვრა პოსტკომუნისტურ იდენტობის შენებაში, აღიარებულია, რომ არც ისე დიდი ხნის წინ დაიწყო და მთავარი ხელის შემწყობი ფაქტორი „ფერადი რევოლუციებია" (McFaul,2005).

ვარდების რევოლუციამ ახალი ეტაპი განავითარა საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებაში, რაც ერთგვარად ფორმალური დასასრული გახდა ჰიბრიდული საბჭოთა სისტემის ქვეყანაში. (Stepanenko 2006). როგორც გია ნოდია წერს, ემპირიულად საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობა თავს აფასებს როგორც ევროპული ინსტიტუტებისა და ღირებულებების მატარებელს, თუმცა იმის გააზრებაც ხდება, რომ საქართველოში არ არის კონსოლიდირებული დემოკრატია ფესვგადგმული და ჩვენ მხოლოდ და მხოლოდ მივესწრაფვით ამ უკანასკნელს(Nodia, 2010). როგორც მაიკლ გონსალესმა განაცხადა სტატიაში „ეთნიკურმა ნაციონალიზმმა საქართველოს მისცა თავისუფლება, ახლა კი მას სამოქალაქო ნაციონალიზმი საჭიროება იმისათვის რომ გადარჩეს.“(Gonzalez, 2018)

დემოკრატიული სახელმწიფოს ფარგლებში მოქალაქეებს შესაძლებლობა აქვთ მაღალი პასუხისმგებლობისა და იდენტობის კავშირის გათვალისწინებით, გავლენა იქონიოს ქვეყნის საგარეო პოლიტიკის კურზე. მოცემულ თავში განვიხილე მოსახლეობის დამოკიდებულებები და მიდრეკილებები, რომლის ფარგლებშიც შესაძლებელია სამოქალაქო საზოგადოებას გააჩნდეს საშუალება, იმისა რომ მმართველ ელიტასთან ერთად მიიღოს მონაწილეობა საგარეო პოლიტიკის ჩამოყალიბებაში. სახელმწიფო იდენტობის შექმნაში, აუიცილებელია შიდა დონეზე ელიტისა და საზოგადოების სოციალიზაციიდან მიღებული შედეგი აისახება საგარეო ურთიერთობებში. თუმცა რა თქმა უნდა ამგვარი სოციალიზაციისას საზოგადოება უნდა წარმოადგენდეს მეტად მიდრეკილ სამოქალაქო ნაციონალიზმს და ნაკლებად ეთნიკურს, რომ მოხდეს სწორი სახელმწიფო იდენტობის ფორმირება და საგარეო ურთიერთობების განხორციელება. (Rae, 2002) როგორც ამ თავში მოცემული ანალიზის საფუძველზე ირკვევა, საქართველო აქტიურ ტრანზიციას განიცდის ღრმა კულტურლ -ისტორიული მიდრეკილებებიდან, შედარებით ახალი, სისტემის, სახელმწიფოებრიობისა და კანონის უზენაესობის ფაქტორებისაკენ. ლიბერალურ-დემოკრატიული ღირებულებების მატარებელი სახელმწიფოსათვის კი მნიშვენლოვანია ნახსენები ფაქტორების მნიშვნელობა, განსაკუთრებით საგარეო

ურთიერთობების განხორციელებისას. ჰეინრიხ ბესტი კარგად განმარტავს, როცა ახსენებს ხალხისა და ელიტის განსხვავებულ იდენტობას, ელიტის მიერ ბოლომდე განუხორციელებელ „პროექტს“ საზოგადოებაში, რაც ხალხის მიდრეკილებით არის გამოწვეული, რომ მოიქცნენ ისე როგორც ამას იყვნენ დაჩვეულნი წინა მართველობის დროს. საქართველოს მაგალითზეც, იგივე შეიძლება ვთქვათ, ელიტის წარმოდგენები უფრო ღრმა და ფუნდამენტურია ვიდრე მოსახლეობის, თუნდაც „ჩვენსა“ და „სხვის“ იდენტიფიკაციასთან მიმართებაში. უკრაინაში განხორციელებული კვლევის მიხედვით ავტორებს მოჰყავთ თეორია, რომელიც პოლიტიკურ პარტიებს მოიცავს და მათ კავშირსა და გავლენას პოსტ-კომუნისტური იდენტობის შენებასთან. მათი აზრით პარტიებს შეუძლიათ ფორმულირება მოახდინონ ნაციონალური იდენტობის, შემდგომ გაავრცელონ ის წინასაარჩევნო კამპანიების დროს, საბოლოო ჯამში კი საზოგადოება აირჩევს იმას, რომელმაც უკეთ მოახდინა იდენტობის ფორმულირება და მოქალაქეებამდე მიწოდება. ამასთან ერთად, კიდევ ერთი კრიტერიუმით ხდება ფილტრაცია, ხალხი აირჩევს იმას, რომელიც უფრო ახლოს იქნება საზოგადოების არსებულ იდენტობასთან ან ეს უკანასკნელი დაანახებს კავშირს არსებულ და ახალ იდენტობებს შორის. მათი აზრით პოსტკომუნისტური იდენტობის მშენებლობა პოლიტიკურ პარტიებზეა დამოკიდებული. მათ შეუძლიათ ნაციონალური იდენტობის კონსტრუქცია, რადგან უკვე ხელისუფლებაში მოსული პოლიტიკური ელიტა ის ნაწილია საზოგადოების, რომელსაც პირდაპირი საშუალება და უნარი გააჩნია აკონტროლოს სახალხო დისკურსი - ეს შეიძლება მოხდეს განათლებითა და ხალხის სცოციალიზაციით ქვეყანაში არსებული აქტუალურ საკითხებზე. (Melnykovska, Schweickert,Kostiuchenko;2011)

ზურაბ ჟვანიას მიერ წარმოთქმული ციტატა „ მე ვარ ქართველი მაშასადამე მე ვარ ევროპელი“ ასახავდა კონკრეტულად პოლიტიკური ელიტის პოზიციას და არა ჩამოყალიბებულ მოსაზრებას საქართველოს მოსახლეობაში. დღესაც კი, მოსახლეობის მხოლოდ 58% ეთანხმება ამ მოსაზრებას (CRRC,2017) შესაბამისად შეგვიძლია ვთქვათ რომ საქართველოს საგარეო პოლიტიკური კურსი ხორციელდება ზემოდან-ქვემოთ

მიმართული მოდელით, სადაც ელიტა ირჩევს კურს შემდგომ კი არჩეული კურსის განხორციელებას ახდენს მოქალაქეებში.

თავი IV. საქართველოს სახელმწიფო იდენტობა

წინა თავებში განვიხილეთ საქართველოს სახელმწიფო იდენტობის შემქმნელი შიდა ფაქტორები, მოცემულ თავში კი განხილული იქნება გარე სტრუქტურული თუ სოციალიზაციის მეშვეობით წარმოქმნილი ფაქტორები. სოციალური ქცევის სტანდარტები საერთაშორისო ურთიერთობებში განვითარდა სოციალური ინტერაქციიდან, სადაც დამოუკიდებელი სახელმწიფო მმართველები საერთაშორისო ასპარეზზეც პასუხისმგებელნი არიან იმ გადაწყვეტილებებზე, რომლებსაც შედეგი ჰქონდა შიდა ან გარე პოლიტიკასა და აქტორებზე. საერთაშორისო ასპარეზზე იდენტობის ცვლილების პროცესი შეიძლება ჩავთვალოთ, რომ ხორციელდება ჩაკეტილ წრეზე. (იხ. გრაფიკი 2) სადაც შიდა ფაქტორებით განსაზღვურილი კურსი, გამოხატულებას პოულობს საგარეო ურთიერთობების მიმართულებაში, შემდგომ კი საერთაშორისო პლატფორმებზე მიღებული შედეგებით სახელმწიფო ახერხებს გარკვეული ღირებულებების ათვისებას. სწორედ ამას უწოდებს კონტრუქტივისტი თეორეტიკოსები სოციალიზაციის პროცესს, ხოლო ათვისებულ ღირებულებებს კი იდენტობას. (Wendt,1992,1999; Katzenstein,1996; Reus-Smith, 2005; Ruggie, 1998; Adler, 1998) კონსტრუქტივისტული მიდგომა, რომელიც სახელმწიფო იდენტობაზე ამახვილებს ყურადღებას გვეხმარება ევროპეიზაციია, ინტეგრაციის ახსნაში. იდენტობა და ევროინტეგრაცია დღეს სინონიმებადაც შეიძლება განვიხილოთ, რადგან ამ ორგანიზაციაში ინტეგრაცია ევროპული იდენტობის გათავისების გარეშე შეუძლებელია. ამჟამად, საერთაშორისო ასპარეზზე, საქართველოს სოციალიზაციის პროცესი ევროპეიზაციის, ევროკავშირთან ინტეგრირების მიმართულებით მიმდინარეობს. იგი დაიწყო 2003 წელს ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ფარგლებში, (2009 წელს) აღმოსავლეთ ევროპის პარტნიორობის პროგრამით, შემდგომ კი საქართველო - ევროკავშირის ასოცირების ხელშეკრულებით განივრცო. ამ კონტექსტში ის ღირებულებები, რაც შეიძლება ჩვენ დაგვრჩეს სოციალიზაციის შედეგად არის კავკასიის და აღმოსავლეთ ევროპის - პოსტსაბჭოთა ქვეყნების დაკავშირება ევროკავშირთან,

ადამიანის უფლებების, ვიზა რეგულაციების გაუქმებითა და ენერგო უსაფრთხოების გაძლიერებით. (kakachia;2009). დასავლური არჩევანი, ის კურსი რომელიც სახელმწიფომ სოციალიზაციის პროცესის გასამართად აირჩია არის სწორხაზოვანი დასავლური. -„ ... მეტოქეობის სუბიექტები არა მხოლოდ ძალაუფლების ცენტრები, არამედ, პირველ რიგში, ღირებულებები და ინსტიტუტებია. რუსეთსა და ევროპას შორის არჩევანი წმინდად პრაგმატული ვერ იქნება. საკითხი ეხება არა იმას, სად არის ვაჭრობის უკეთესი პირობები და ვისგან უფრო მეტ კონკრეტულ სარგებელს ელი (თუმცა ამასაც მნიშვნელობა აქვს), არამედ როგორი ქვეყანა გინდა, რომ გქონდეს. ევროპა და რუსეთი ქვეყნის განვითარების სხვადასხვა მოდელია. აღმოსავლური პარტნიორობის ქვეყნების შიგნით ამ ორ მოდელს შორის მკაფიო არჩევანი არ გაკეთებულა: თითოეული მათგანი შინაგანად გაყოფილია. სწორედ ამას ემყარება მათზე რუსეთის გავლენაც“.(ნოდია;2014) საქართველოს მიერ არჩეული კურსი, კი პირდაპირ უზრუნველყოფს მოცემული ფორმატების ფარგლებში ღირებულებების შემენას. ის თუ როგორ წარმოაჩენს ქვეყანა თავს საერთაშორისო ასპარეზზე სწორედ ამ ურთიერთობის შედეგად შემენილი ღირებულებადაც კი შეიძლება ჩავთვალოთ. სახელმწიფოსთვის ეს უკანასკნელი ძალიან მნიშვნელოვანია და ამას ხელისუფლებაც კარგად უნდა აცნობიერებდეს. სადაო არ არის ის ფაქტი, რომ რევოლუციის შემდეგ მმართველი პარტიის ერთ-ერთ მთავარ მიზანს წარმოადგენდა საქართველოს მაქსიმალური პოპულარიზაცია. მოცემულის გამოვლინება საერთაშორისო ურთიერთობებში მრავალი სახით შეიძლება მოხდეს. მაგალითად, ევროკავშირის საერთო საგარეო უსაფრთხოების პოლიტიკის ფარგლებში(CFSP), (რომელიც მოიცავს კონფლიქტების პრევენციას სამშვიდობო გზებით, ჰუმანიტარული ინტერვენცია კრიზისის მენეჯმენტის პოსტკონფლიქტური ტრანსფორმაციისთვის და სხვა.) საქართველო მონაწილე იყო არაერთი ევროკავშირის ხელმძღვანელობით განხორციელებული სამშვიდობო ოპერაციების.(EUAM Ukraine; Kosovo, Iraq, Afghanistan) მოცემულ ოპერაციებში საქართველო იყო პირველი არაწევრი სახელმწიფო, რომელმაც სამხედრო ძალის მნიშვნელოვანი კონტრიბუცია განახორციელა. ევროკავშირთან სოციალიზაციის

პროცესის გავლენა შეიძლება იყოს ის ნარატივი, რომლის მიხედვითაც პოლიტიკური ელიტა ცდილობს საქართველოს სახელი შავი ზღვის რეგონთან დააკავშიროს და კავაკასიური კონტექსტიდან ამოშალოს. მიზეზი შეიძლება აიხსნას შემდეგით, კავკასიის რეგიონი მრავალ კონფლიქტშია ჩართული,(kakhishvili 2015) შესაბამისად სახელმწიფოს არ სურს იდენტიფიცირებული იყოს ასეთ რეგიონთან, მით უფრო ევროინტეგრაციის ფარგლებში. 2003 წლიდან საქართველო იმ ორგანიზაციებს ანიჭებს უპირატესობას რომელიც, შავი ზღვის რეგიონთან ასოცირდება(Community of Democratic Choice; Organization for Democracy and Economic Development- GUAM and the Black Sea Economic Cooperation (BSEC)). (Kakachia, Markarov, 2016), 2006 წელს კი მიუნხენის უსაფრთხოების სხდომაზე სააკაშვილმე საქართველო დაახასიათა როგორც შავი ზღვის რეგიონის სახელმწიფო, როგორც ბულგარეთი და რუმინეთი(Civilge,2006). საქართველოსათვის ევროპეიზაციის პროცესი ავტომატურად ნიშნავს დესოვიეტიზაციას, რაც ნიშნავს, რომ საერთაშორისო ასპერეზზე მას არ სურს აღქმული იყოს, როგორც პოსტსაბჭოთა სახელმწიფო, ან ქვეყანა კავაკსიის რეგიონში, რომელიც საერთაშორისო საზოგადოებისთვის კონფლიქტებთან ასოცირდება. პოლიტიკური ელიტის აზრით ცარისტული და საბჭოთა რუსეთის მიერ სამხერთ კავკასიის, როგორც რეგიონის მნიშვნელობა არის ხელოვნურად შექმნილი მათი, საკუთარი ინტერესების გასატარებლებლად. (Kakachia; Minesashvili 2014). იგივე „შიშებისა“ თუ გამოწვევების წინაშე იდგა არც თუ დიდი ხნის წინ ბალტიის პირეთის ქვეყნები. ანდრის სპრუდსი სტატიაში განიხილავს ამ ქვეყნების იდენტობის ფორმირებას ევროკავშირში ინტეგრირების პროცესისას. (Spruds; 2009; 101-116) როგორც სტატიიდან ირკვევა, დასავლური პოლიტიკის განხორციელების ერთგვარი „შიში“ არსებობდა ლიეტუვას, ლატვიასა და ესტონეთის მაგალითზეც, რადგან მათი იდენტობის მშენებლობაც დაიწყო „სხვა“ - რუსეთისა და „ჩვენ“ - ევროპის ნარატივის ქმედებაში მოყვანით. ბალტიის პირეთის ქვეყნების ტერიტორიული სიმცირე მათი იდენტობის ნაწილი გახდა, რადგან გეოპოლიტიკური მდგომარეობის გამო ყოველთვის არსებობდა რუსეთისაგან წამოსული საფრთხე, შესაბამისად უწევდათ ხაზი

გაესვათ საკუთარი ევროპული იდენტობისათვის, ევროკავშრში ინტეგრაცი კი იქნებოდა ამ სტატუსის წარმატებით დადასტურება. ბალტიის პირეთის ქვეყნებს უნდოდათ მსოფლიოსათვის ეჩვენებინათ, რომ ტერიტორიის სიმცირე არ ნიშნავს სახელმწიფოს უმნიშვნელობას საერთაშორისო ასპარეზზე. დღეს წარმატებული ინტეგრაციის შემდეგ ქვეყნები მზად არიან საკუთარი გამოცდილება გაუზიარონ იმავე გზაზე მდგომ სახელმწიფოებს. ბალტიის პირეთის განვითარებაში დასავლეთ ევროპამ უდიდესი როლი შეასრულა, სახელმწიფოები მკვეთრად გამოხატავენ მადლიერებას, რადგან პოსტკომუნისტური განუვითარებელი სახელმწიფოდან დღეს თანამედროვე განვითრებულ ქვეყნებად ჩამოყალიბდნენ. თუმცა საინტერესოა ასევე ის ფაქტი, რომ საკუთარი გამოცდილებიდან გამომდინარე, ქვეყნები თვით ევროკავშირში ცდილობენ გამორჩეული იდენტობის მატარებლები იყვნენ და დღეს თავად გახდნენ იმ საზღვრების გამფართოვებლები, რომელიც ერთ დროს მათაც კი არ მოიცავდა. ისინი აქტიურად ლობირებენ პოსტ-საბჭოთა სივრცის ქვეყნების ინტეგრაციიას ევროკავშირში, როგორც ერთ-ერთი ავტორი წერს მათთვის ეს გზაა გადაინაცვლონ „კიდედან“ „ცენტრისკენ“. (Jakniūnaitė; 2009; 117-131) ამ ქვეყნებს კარგად აქვთ გააზრებული თუ რა არის იყო აღიარებული ევროპად და მიგიღონ ევროპულ ოჯახში. მოცემულ კონტექსტში კიდევ უფრო გამორჩეულია ლიეტუვა, რომელმაც ევროკავშირში წევრობის შემდეგ ღიად განაცხადა, რომ სურს იყოს რეგიონალური ლიდერი სწორედ მისი მისწრაფებით იყოს ღირსეული წევრი ევოკავშირის.(Paulauskas 2004). თვით ევროკავშირის შიგნითაც მოირგეს პატარა ქვეყნებმა იდენტობა, რომელიც ყველა დანარჩენისაგან განასხვავებს მათ. საინტერესო სწორედ მათ მიერ განვლილი გზაა, რადგან საქართველოც სწორედ იმავე სოციალიზაციის პროცეს გადის. მიუხედავად იმისა, რომ განსხვავებული გამოწვევების წინაშე დგას ქვეყანა დღეს, სახემლწიფოს შეუძლია პოსტკომუნისტური იდენტობის დატოვება და განვითრებულ სახელმწიფოდ ჩამოყალიბება მათ კვალდაკვალ.

 საქართველო ერთადერთი ქვეყანაა რეგიონში(სამეზობლოში), რომელიც შედარებით წარმატებით ახერხებს დემოკრატიული პრინციპების დანერგვისა და გატარებას. (Freedom

House, 2019), ეს ერთგვარად შიდა სახელმწიფოებრივი ბიძგის შედეგიც არის და ასევე საერთაშორისო ასპარეზზე მიმდინარე სოციალიზაციის პროცესის გავლენაც. ევროკავშირთან სოციალიზაციის პროცესით ქვეყანა იღებს იმ უნივერსალურ ღირებულებებს, რომელიც დემორატიულ და ლიბერალურ სამყაროშია დამკვიდრებული. მოცემული პროცესი ქვეყნისთვის ქმნის გრძელვადიან დემოკრატიულ რეფორმებზე მდგომ იდენტობის შენებას. საქართველოსათვის მთავარ ინტერეს ევროკავშირში ინტეგრაცია წარმოადგენს. მოცემული ინტეგრაცია ერთგვარ გასაღებს წარმოადგენს ხელისუფლებისა და საზოგადოების თვალში, რომლის მეშვეობითაც გადაიჭრება ქვეყნის მთავარი გამოწვევები - ტერიტორიული მთლიანობა და ეკონომიკური მდგომარეობა. მიუხედავად იმისა, რომ ევროკავშირი არ წარმოადგეს სამხედრო - თავდაცვით ალიანს, მოსახლეობასა და პოლიტიკურ ელიტაში არის უსაფროთხოების გარანტიის მოლოდინები. სახელმწიფო იდენტობის მეორე დონე, საერთაშორისო სოციალიზაცია ჯერ-ჯერობით წარმოადგენს დაუსრულებელ პროცეს, რომლის მეშვეობით (და სხვა სახელმწიფოების დახმარებით) სახელმწიფომ უნდა განამტკიცოს შიდა დონეზე მიღებული გადაწყვეტილებები, ინტერესები თუ მისწრაფებები. ყოველივე ამისათვის საჭიროა პირველ რიგში ევროკავშირთან ურთიერთობისას მტკიცე ღირებულებითი მისწრაფებების შენარჩუნება, რაც ასევე საპასუხო რეაქციაშიც უნდა გამოიხატებოდეს, იმ დემოკრატიული და ლიბერალური სამყაროდან რომლის მსგავსიც გვსურს რომ გავხდეთ.

დასკვნა

„შეუძლებელია გავიგოთ რა გვინდა, თუ არ გვეცოდინება ვინ ვართ“ (Campbell; 1992)მოცემული ციტატა სწორედ ასახავს შესავალში ნახსენებ ვირტუალურ სარკეს, სადაც სახელმწიფო საკუთარი თავის შეცნობით აყალიბებს იდენტობას და შემდგომ მასზე დაყრდნობით ახორციელებს საგარეო პოლიტიკას. თემაში განხილული თითოეული თავი მონაწილეობას იღებს საქართველოს სახელმწიფო იდენტობის კონსტრუქციაში, საჭიროა თითოეულ დონეზე იდენტობის შესწავლა და გააზრება შემდგომ კი, მისი გავლენის დანახვა საგარეო კურსზე. ხაზგასასმელია ის ფაქტი, რომ ევროკავშირთან ურთიერთობა და დესოვიეტიზაცია არის კონტექსტი, რომლის ფარგლებშიც ხდება საქართველოს იდენტობის ცვლილება.(Kakachia, Markarov, 2016) ევროკავშირთან თანამშრომლობით საქართველო იღებს ღირებულებებს და იძენს ახალ მისიას. რომელიც საერთაშორისო ასპარეზზე ცვლის საქართველოს იდენტობასა და როლს. შესაბამისად საკუთარ თავზეც სახელმწიფოს უყალიბებს გაცილებით მყარ წარმოდგენებს. საქართველო ეს ის ქვეყანაა, სადაც თითქმის სინქრონიულად დაიწყო და მიმდინარეობს პოლიტიკური ელიტის, სამოქალაქო საზოგადოებისა და შესაბამისად სახელმწიფო იდენტობის კონსტრუქცია. თუმცა რა თქმა უნდა, როგორც თემაშია ნაჩვენები, მოცემულში დიდი როლი უჭირავს სწორედ ელიტის წარმოდგენებსა და ღირებულებებს საგარეო კურსის განსაზღვრისას. მიუხედავად ამისა ქვეყანაში აქტიურად ხორციელდება სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბება და ეს კარაგად იგრძნობა თანამედროვე რეალობაში. სახელმწიფოში ყალიბდება საზოგადოება, რომელსაც კარგად ექნება გათავისებული პასუხისმგებლობები, მოვალეობები და მოთხოვნები სახელმწიფოს წინაშე. დემოკრატია, თავისუფლება, კანონის უზენაესობა იქნება ის ფუნდამენტური საკითხები, რომელის გარშემოც ქვეყანაში მცხოვრები თითოეული ადამიანი გაერთიანდება. ვარდების რევოლუციის შემდგომ ქვეყანა სწორხაზოვნად დასავლური ღირებულებების დანერგვას ცდილობს, რაც სახელმწიფო იდენტობის შექმნის თითოეულ ასპექტში ვლინდება. თავდაპირველად ეს

უკანასკნელი დაიწყო დასავლური განათლებითა და ღირებულებით აღჭურვილმა მცირე პოლიტიკურმა ელიტამ, დღეს კი საზოგადოების დიდ ნაწილს მოიცავს. ევროინტეგრაციის ფარგლებში, ზემოთ უკვე ნახსენები სოციალიზაციის პროცესი, პირდაპირ ახდენს გავლენას როგორც პოლიტიკურ ელიტაზე ასევე საზოგადოებაზე, შესაბამისად სახელმწიფო იდენტობაზე. მაგალითად ამ პროცესების შედეგად მიღებული უვიზო რეჟიმი ევროკავშირთან. გარდა იმისა, რომ ეს უკანაკსნელი წარმოადგენდა ინტეგრაციის ერთი ეტაპის წარმატებულ დასასრულს, დღეს უკვე ინსტიტუციური დონის გარდა ქართველ მოსახლეობას პირდაპირი მნიშვნელობით უხსნის გზას ევროპის თავიდან აღმოსაჩენად. (Loda; 2019)

ლიბერალიზმზე, დემოკრატიასა და დასავლურ ღირებულებებზე დაფუძნებული იდენტობა გამოწვევაა პოსტსაბჭოთა ქვეყნისათვის, როგორც ჯონსი ახსენებს, პოსტსაბჭოთა ქვეყნებს ახასიათებთ სუსტი პარტიები, გაანუვითარებელი სამოქალაქო ინსტიტუტები და ჩამოუყალიბებელი სამოქალაქო ინტერესები (Jones,2003), რა თქმა უნდა მსგავსი მოცემულობა არ ხდის მარტივს დასავლურ ღირებულებებზე დაფუძნებული იდენტობის ჩამოყალიბებას. როგორორც მიჩელი განმარტავს, დემოკრატიისა და ლიბერალური ღირებულებების მარცხი საქართველოში ძალიან დიდ კითხვებს გააჩენს. ის ბუშის მთავარ იდეას დააყენებს კითხვის ქვეშ, რომელსაც ასევე ბევრი თეორეტიკოს თუ პრაქტიკოსი იზიარებს საერთაშორისო ურთიერთობებში,- „დემოკრატიის განვითარება ნებისმიერ ქვეყანაშია შესაძლებელი“, მიუხედავად იმისა გააჩნია თუ არა ქვეყანას დემოკრატიის ისტორიული გამოცდილება. იქნება თუ არა რეალური ველოდეთ დემოკრატიის წარმატებულ მშენებლობას პოსტსაბჭოთა სივრცეში - (ბალტიის ქვეყნები გამოკლებით) (Mitchell;2006), ამ კითხვის პასუხის გაცემას ავტორი საქართველოს მაგალითზე დაყრდნობით ცდილობს. საქართველოს მაგალითზე დაყრდნობით, ის ცდილობს განაზოგადოს ეს საკითხი, რაც საქართველოსთვის ძალიან დიდი პასუხისმგებლობა და გამოწვევაა. მიუხედავად ამისა ავტორი უკვე თვლის, რომ საქართველოს ერთ-ერთ წარმატებად და მიღწევად შეიძლება ჩაითვალოს ქვეყნის ძლიერი

დასავლურ ორიენტაცია, სადაც ლიდერებიც და საზოგადოებაც ხედავს დასავლეთს, როგორც არსებული პოლიტიკური მოდელების იდეალურ ვარიანტს.

იდენტობაზე დამყარებული ლოგიკა გვეხმარება უკეთ აღვიქვათ საგარეო პოლიტიკკური კურსის არჩევანი, რომელიც არ არის მხოლოდ მატერიალურ ინტერესებზე დამყარებული და მოიცავს სახელმწიფოს შიდა და გარე ფაქტორებით განპირობებულ რწმენებს, ღირებულებებსა და ინტერესებს. საბოლოო ჯამში იგი ეფუძნება იმ წარმოდგენას, თუ რა როლი შეიძლება გააჩნდეს ქვეყანას და სად შეიძლება იყოს მისი ადგილი საერთაშორისო ურთიერთობებში.

საქართველო დასავლეთის ნაწილია და მისი საგარეო პოლიტიკის კურსი მისი იდენტობიდან მომდინარეობს.

ბიბლიოგრაფია

1. Adler Emanuel; Barnett Michael,"Security Communities" Cambridge University Press; 1998;
2. Anderson, J. Christopher; Reichert, M. Shawn; "Economic Benefits and Support for Membership in the EU: a Cross-National Analysis"; Journal of Public Policy; 231-249; 1996;
3. Bartelson, Jens; "The Critique of the State"; Cambridge University Press; 2001;
4. Beachain, O. Donnacha; Coene, Frederik; "Go West: Georgia's European identity and its role in domestic politics and foreign policy objectives"; Dublin, Ireland; 2014;
5. Berg, Erik; Ehin, Piret. "Identity and Foreign Policy Baltic-Russian Relations and European Integration"; London, 2009;
6. Berenskoetter, Felix; "Identity in International Relations" AJohn Wiley and Sons, LTD. July, 2018;
7. Burant, R. Stephen. "Foreign policy and national identity: A comparison of Ukraine and Belarus" Washington DC, USA. 1995;
8. Bruter, Michael; "Citizens of Europe? The Emergence of a Mass European Identity."; Palgrave Macmillan; 2005;
9. Bruter, Michael; "Winning Hearts and Minds for Europe: The Impact of News and Symbols on Civic and Cultural European Identity." Comparative Political Studies; 2003;
10. Campbell, David; "Writing Security: United states Foreign Policy and the Politics od Identity"; Minneapolis: Univeristy of Minnesota Press; 1992;
11. Chafetz, Glenn; Spirtaa, Michael; Frankel Benjamin; "Tracing the influence of identity on foreign policy"; 1998;
12. Civil.ge; „პარლამენტმა დსთ-დან გამოსვლას დაუჭირა მხარი. " – 2008; https://old.civil.ge/geo/article.php?id=19145
13. Civil.ge; "President Saakashvili delivered his annual state of the nation address in Parliament" 2008; https://old.civil.ge/eng/article.php?id=19525
14. Civil.ge. "Saakashvili's Speech at Munich Security Conference"; 2011; https://old.civil.ge/eng/article.php?id=23114

15. Civil.ge; „ბაქო - სუფსის პროექტი“2016; http://newsday.ge/new/index.php/ka/component/k2/item/19360-%E1%83%91%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%9D-%E1%83%A1%E1%83%A3%E1%83%A4%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%9E%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%94%E1%83%A5%E1%83%A2%E1%83%98
16. Civil.ge; “Georgian PMs UN Speech” 2015; https://old.civil.ge/eng/article.php?id=28614
17. Civil.ge; “PM Addresses Parliament over Association Agreement”; 2014; https://old.civil.ge/eng/article.php?id=27504
18. Civil.ge; “President Margvelashvili's Inauguration Speech”; 2017; https://old.civil.ge/eng/article.php?id=26693
19. Civil.ge; “სააკაშვილი: კავკასიური ერებისთვის საქართველო არის ფანჯარა ევროპაში”; 2012; https://old.civil.ge/geo/article.php?id=25172
20. Devetak, Richard; True, Jacqui. “Diplomatic divergence in the Antipodes: Globalisation, foreign policy and state identity in Australia and New Zealand” Australian Journal of Political Science; Published online: 15 Aug 2006.
21. Dragneva, Rilka; Woczuk, Kataryna; “Ukraine Between the EU and Russia.”; Palgrave Macmillan; 2015;
22. Emerson, Michael; Kovziridze, Tamara; “Deepening EU - Georgian Relations: What,Why and How?”; Centre for European Policy Studies, Brussels Reformatics, Tbilisi Rowman & Littlefield International, London; 2016;
23. Finnemore, Martha; Sikkink, Kathryn; “International Norm Dynamics and Political Change” International Organization; Foundation and the Massachusetts Institute of Technology; 887-917; 1998;
24. Gonzalez, Mike; “Ethnic Nationalism Gave Georgia Freedom. Now It Needs Civic Nationalism to Survive.” Foreign Policy, November, 8, 2018,
25. Gvalia, Giorgi; Siroky, David; Lebanidze, Bidzina; Iashvili, Zurab; “Thinking Outside the Bloc: Explaining the Foreign Policies of Small States.” 2013;

26. Gellner, Ernest; “Culture, Identity and Politics”; 1996;
27. Hopf, Thomas; “Promise of Constructivism in International Relations Theory”; International Security; 1998;
28. Ignatieff, Michael; “Blood and Belonging” Farrar, Straus and Giroux; Reprint edition; 1995;
29. İnaç, Hüsamettin; Ünal, Feyzullah; “The Construction of National Identity in Modern Times: Theoretical Perspective”; International Journal of Humanities and Social Science; June, 2013;
30. ISSP International Social Survey Programme - National Identity III; 2013
31. Jones, Stephen; “The role of cultural paradigms in Georgian foreign policy”; Russian and Eurasian Studies, Mount Holyoke College, Massachusetts; 2003;
32. Kaarbo, Juliet. “Foreign Policy Analysis in the Twenty-First Century: Back to Comparison, Forward to identity and Ideas” 2003;
33. Kakachia. K. Kornely; “Can Russia Win the Ideological Battle in Georgia?”; Tbilisi State University; September, 2009;
34. Kakachia. K. Kornely; Minesashvili, Salome; Kakhishvili, Levan; “Change and Continuity in the Foreign Policies of Small States: Elite Perceptions and Georgia’s Foreign Policy Towards Russia”; 2018;
35. Kakachia. K. Kornely; Minesashvili; “Identity politics: Exploring Georgian foreign policy behavior”; Journal of Eurasian Studies; 2015;
36. Kakachia. K. Kornely; “Georgia: identity, foreign policy and the politics of a “Euro-Atlantic orientation”; Norwegian Peacebuilding Resource Centre; 2013;
37. Kakachia. K. Kornely; Kakhishvili, Levan; Markarov, Alexander; Naskidashvili, Mariam; " values and identity as sources of foreign policy in Armenia and Georgia”; Publishing House Universal; Tbilisi, 2016;
38. Kalnoky, Boris; “My Europe: Blame eastern Europe’s oligarchs on EU cash” June,2019; https://www.dw.com/en/my-europe-blame-eastern-europes-oligarchs-on-eu-cash/a-49403372

39. Katzenstein, P. “Cultural Norms and National Security”; Ithaca and London: Cornell University Press; 1996;
40. Karolewski, Pawel; “ European identity : theoretical perspectives and empirical insights”; 2006;
41. Konończuk,Wojciech; Cenușa, Denis; Kakachia, Kornely; “Oligarchs in Ukraine, Moldova and Georgia as key obstacles to reforms”; Swedish International Development Cooperation Agency (Sida); 2017;
42. Kubalkova, Vendulka; “Foreign Policy in a Constructed World”; Taylor & Francis; 2001;
43. Kuzio, Taras; “National Identity and Democratic Transition in Post-Soviet Ukraine and Belarus: a theoretical and comparative perspective”; July; 2002;
44. Lane, David;” Identity Formation and Political Elites in the Post-Socialist States”; University of Cambridge; 2011;
45. Loda, Chiara; “Georgia, the European Union, and the Visa-free Travel Regime: Between European Ideentity and Strategic Pragmatism; Association for the Study of Nationalities; 2019;
46. McFayl, Michael; “Transition from Post-Communism”; Journal of Democracy; 5-19l
47. Malloy, James; “The Politics of Transition in Latin America. In Authoritarians and Democrats: Regime Transition in Latin America”; Pittsburgh University Press; 2987
48. Manners, Ian; “Normative power Europe reconsidered: beyond the crossroads” Journal of European Public Policy; 182-199; 2006;
49. March, G. James; Olsen, P. Johan; “The Institutional Dynamics of International Political Orders” International Organization; 1998;
50. Melnykovska, Inna; Schweickert, Rainer; Kostiuchenko, Tetiana; “Balancing National Uncertainty and Foreign Orientation: Identity Building and the Role of Political Parties in Post- Orange Ukraine; 2011;
51. Malloy, James; “The Politics of Transition Latin America. In Authoritarians and Democrats: Regime Transition in Latin America”; Pittsburgh: University of Pittsburgh Press; 1987;

52. Mitchell, A. Lincoln; “Democracy in Georgia Since the Rose Revolution”; East European Democratization; 2006;
53. Muller, Martin; “Public Opinion Toward the European Union in Georgia”; Post-Soviet Affairs, 64-92; 2011;
54. Nodia, Gia; “Components of Georgian National Idea: an Otline” Identity studies; 84-101; 2009;
55. Nodia, Gia; “Georgias Identity Crisis”; Journal of Democracy; 104-116; 1995;
56. Onuf, N; “World of Our Making”; University of South Carolina Press. 1989;
57. O'Donnell, Guillermo; Schmitter, C. Philippe; “Transitions from Authoritarian Rule”; The fohns Hopkins University Press; 1986;
58. Ruggie, G. John; “What Makes the World Hang Together? Neo-Utilitarianism and the Social Constructivist Challenge”. International Organizations; 1998
59. Rae, Heather; “State Identities and the Homogenisation of Peoples”; Cambridge University Press; 2002;
60. Reus-Smit, Christian; “The Moral Purpose of the state: Culture, social Identity, and Institutional Rationality in international Relations.” New Jersey: Princeton University Press; 1999;
61. Reus-Smit, Christian; “Theories of International Relations”; Constructivism; Palgrave Macmillan; Chapter 8; pages188-211; 2005;
62. Rondeli, Alexander; “Georgias Search for itself”; Open democracy; 2008; https://www.opendemocracy.net/en/author/alexander-rondeli/
63. Rondeli, Alexander; “Sakartvelo: A Political Prospect”; Open democracy 2010; https://www.opendemocracy.net/en/author/alexander-rondeli/
64. Rumelili, Bahar. “Constructing Identity and Relating to Difference: Understanding the EU's Mode of Differentiation”. Cambridge University. 2004;
65. Schimmelfennig, Frank; Sedelmeier, Ulrich; “The Europeanization of Eastern Europe: the External Incentives Model Revisited”; June; 2017;
66. Sergheev, Natalia; Varga Christian-Zsolt; “17 Oligarchs Who are Shaping Eastern Europe” Forbs Georgia in English; 2018; https://forbes.ge/news/3278/17-Oligarchs-Who-Are-Shaping-Eastern-Europe

67. Strategeast, Westernization Index 2018;
68. Sakwa, Richard; “Russian Politics and Society”; Taylor & Francis First published 1993;
69. Sakwa, Richard; “The Dual State in Russia”; Pages 185-206; Post-Soviet Affairs; 2010;
70. Skidmore, David; „Bringing Social Orders Back In “; Department of Political Science; Drake University; 1997;
71. Subotic, Jelena; “Europe is a State of Mind: Identity and Europeanization in the Balkans”; Georgia State University; 2011;
72. Suny, R. Grigor; “The Pawn of great Powers: The East-West Competition for Caucasia.” Jurnal of Eurasian Studies; 2009;
73. Telhami, Shilley; Barnett, Michael; “Identity and Foreign Policy in the Middle East”; Cornell University Press; 2002;
74. Thorun, Christian; “Explaining Change in Russian Foreign Policy: The Role of Ideas in Post-Soviet Russia’s Conduct towards the West”; Palgrave Macmillan; 2009;
75. Tulmets, Elsa; “East Central European Foreign Policy Identity in Perspective: Back to Europe and the EU’s Neighbourhood” UK; Palgrave Macmillan; 2014;
76. Vachudova, M. Anna; “Tempered by the EU? Political Parties and Party Systems Before and After Accession”; Journal of European Public Policy; 861–879; 2008;
77. Wendt, Alexander; “Collective Identity Formation and the International State”; The American Political Science Review; 1994
78. Wendt, Alexander; Jepperson, L. Ronald; Katzenstein. J. Peter; “Norms, Identity, and Culture in National Security” 1996;
79. Wendt, Alexander; Social Theory of International Politics. New York: Cambridge University Press; 1999;
80. Wendt, Alexander; „Anarchy is what States Make of it: The Social Construction of Power Politics” International Organization; The MIT Press; 1992;
81. Woczuk, Kataryna; “History, Europe and the ‘‘National Idea’’; Nationalities Papers; 671–94; 2000;

82. ბოგიშვილი, დიანა; იოსეფაშვილი, ირინა; გავაშელიშვილი, ელენე; გუგუშვილი, ნინო; „ქართული ეროვნული იდენტობა: კონფლიქტი და ინტეგრაცია.“; სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი; გამომცემლობა ნეკერი; 2016;
83. გელაშვილი, ნინო; „ევროკავშირი და სამხრეთ კავკასია ვარდების რევოლუციის შემდეგ.“; 2004;
84. ზურაბაშვილი, თორნიკე; „ევროკავშირის საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის გლობალური სტრატეგია და საქართველო“; საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი; 2016;
85. ლიბერალური აკადემია თბილისი „საქართველოს ეკონომიკური ტრანსფრმაცია: დამოუკიდებლობის 20 წელი“; USAID; EI-LAT; 2012;
86. მაკფარლეინი, ს. ნილ; „ოცნების ორი წელი: საქართველოს საგარეო პოლიტიკა გარდამავალ პერიოდში.“; რუსეთისა და ევრაზიის პროგრამა; 2015;
87. ნოდია, გია; „ევროპა და საქართველო ღირებულებების პოლიტიკაში.“ ფორბს გორგია; 2014; http://forbes.ge/news/208/evropa-da-saqarTvelo
88. რონდელი, ალექსანდრე; „ საქართველო: მძიმე გზა ვარდების რევოლუციიდან“; 2003;
89. საქართველოს საგარეო პოლიტიკის სტრატეგია - 2019-2022 წლები; http://mfa.gov.ge/getattachment/MainNav/ForeignPolicy/ForeignPolicyStrategy/2019-2022-clebis-saqartvelos-sagareo-politikis-strategia.pdf.aspx
90. საქართველოს ეროვნული უსაფთხოების კონცეფცია; 2018; https://mod.gov.ge/uploads/2018/pdf/NSC-GEO.pdf